# საქართველოს რესპუბლიკა

საკვირაო გამოშვება

კვირა, 19 ოქტომბერი, 1997 წელი. № 259 (2632)

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ფასი 40 თეთრი. თბილისის გარეთ 45 თეთრი.


## პირველი საერთაშორისო დასკვნითი აკორდი

გუშინ თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში საზეიმოდ დაიხურა პიანისტთა პირველი საერთაშორისო ფესტივალი.

გაიმართა ლაურეატების დაჯილდოების ცერემონიალი და გამარჯვებულთა გალა-კონცერტი.

დაწვრილებით — უახლოეს ნომერში.

## ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა

18 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით გაიმართა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს „მშვიდობიანი კავკასიის“ ინიციატივის ფარგლებში რუსეთის ფედერაციის სუბიექტებთან ურთიერთობათა შემდგომი განვითარებისა და პერსპექტივის შესახებ.

სხდომის მონაწილეებმა განიხილეს საკითხი საქართველოში რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზებისა და სასაზღვრო ჯარების ნაწილების სარგებლობაში არსებული და მათ მიერ გადმოცემული და გასხვისებული ობიექტების, მიწის ნაკვეთებისა და უძრავ-მოძრავი ქონების ინვენტარიზაციის სახელმწიფო კომისიის მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე.

საბჭოს წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს სამხედრო ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შესახებ.

ასევე, განხილულ იქნა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს დებულება და კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით გაწეული მუშაობის ანგარიშების მოსმენის გრაფიკი.

სხდომა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 18 ოქტომბერი — ქ. თბილისი

**საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალური ტრიო „თბილისის“ წევრების ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალური ტრიო „თბილისის“ წევრები **ნუგზარ აფხაიძე, რამაზ გუნიავა, ზაზა მამალაძე** დაჯილდოვდნენ ღირსების ორდენით.

**ე. შევარდნაძე.**

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 18 ოქტომბერი — ქ. თბილისი

**თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის მსახიობების საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოში თეატრალური ხელოვნების განვითარებისა და აღორძინების საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობისათვის თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის მსახიობები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით:

ღირსების ორდენით:

**ნატალია ბურმისტროვა** – საქართველოს სახალხო არტისტი.

ღირსების მედლით:

**ირაიდა კვიჟინაძე** – საქართველოს დამსახურებული არტისტი
**ელიზბარ კუხალეიშვილი** – საქართველოს დამსახურებული არტისტი
**ლუდმილა მღებრიშვილი** – საქართველოს დამსახურებული არტისტი
**ვალენტინა სიომინა** – საქართველოს სახალხო არტისტი
**ჯემალ სიხარულიძე** – საქართველოს დამსახურებული არტისტი
**თამარ შოთაძე-ბელოუსოვა** – საქართველოს სახალხო არტისტი
**ვალერი ხარიუტჩენკო** – მსახიობი.

**ე. შევარდნაძე.**

## თბილისობა

# დღესასწაულს სოციალური დატვირთვა ექნება



ეს ფოტოსურათი რედაქციის არქივიდანაა: თბილისობა ასე იწყებოდა და — ასე გრძელდება.

თბილისობა ჩვენი ქალაქის განსაკუთრებული დღესასწაულია. ამ დროს პრაქტიკულად მთელი საქართველო თავს იყრის დედაქალაქში კეთილ ტრადიციად ქცეულ საერთო-სახალხო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად.

თბილისობა არის არა მარტო კულტურული ღონისძიებების კომპლექსი, არამედ დედაქალაქის და სრულიად საქართველოს ეკონომიკისა თუ კულტურის სფეროებში ჩვენი საქმიანობის ერთგვარი შედეგების შეჯამებაც გახლავთ.

„საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებმა იციან, რომ წლეულს თბილისობა 25-26 ოქტომბერს გაიმართება.

იხ. მე-4 გვ.

## მისალმება

# გულწრფელად გიკრავთ ტაშს

ბატონებო,

ნება მიბოძეთ მოგილოცოთ თქვენი თეატრის დაარსების ასორმოცდაათი წლისთავი და გისურვოთ წარმატებანი შემოქმედებით და პირად ცხოვრებაში.

თქვენი თეატრი დიდი რუსი დრამატურგისა და ქართველთა სიძის გრიბოედოვის სახელს ატარებს. მისი ნეშთი ქართველ მოღვაწეთა პანთეონში განისვენებს, თბილისში, მთაწმინდაზე და მას დღესაც გულისშემძვრელი სიტყვებით დასტირის მისი მშვენიერი მეუღლე ნინო ჭავჭავაძე, ქართული პოეზიის კლასიკოსის ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილი. ეს სიმბოლური მოვლენა გახლავთ და ამავე დროს ისტორიული ფაქტი.

ისტორიული ფაქტია ისიც, რომ ამ თეატრმა თავისი წვლილი შეიტანა არამარტო რუსი და ქართველი ერების დაახლოებაში, არამედ ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში და ისიც, რომ სწორედ ამ თეატრის სცენაზე დაიდგა ბევრი ქართული პიესა, აქ გაბრწყინდა ბევრი ქართველი მსახიობის, რეჟისორის, მხატვრისა თუ მუსიკოსის ნიჭი.

გრიბოედოვის თეატრი არასოდეს არსებობდა მხოლოდ რუსულენოვანი მაყურებლისათვის. აქ ქართველ მაყურებელს არაერთხელ დაუკრავს ტაში როგორც ადგილობრივი, ისე გასტროლებზე ჩამოსული რუსი მსახიობებისათვის.

ამ თეატრის, ისევე, როგორც მისი შვილობილის, თბილისის რუსული მოზარდმაყურებელთა თეატრის მისია მარტოოდენ კულტურული დანიშნულებით არასოდეს შემოფარგლულა – ეს იყო ერთა დაახლოებისათვის უანგარო მსახურების ნიმუში.

დიდი მადლობა ყოველივე ამისათვის.

დარწმუნებული ვარ, რომ დიდი ტრადიციების მქონე ეს თეატრი, მისი ხელმძღვანელობა, მისი დასი, მისი თანამშრომლები ახალ დროში, ახალ საქართველოში ღირსეულად გააგრძელებენ წინაპართა ტრადიციებს.

ყოველივე ამის გარანტად საქართველოს ხელისუფლება უნდა იყოს, საქართველოს ხალხი, რომელსაც მიაჩნია, რომ თუ ერი არ ზრუნავს სხვა ერის კულტურაზე, იგი ვერც თავის კულტურაზე იზრუნებს. თუ ერი მზად არაა ეზიაროს სხვა ერის კულტურას, იგი ვერც თავის კულტურას გაიტანს საზღვრებს გარეთ.

სწორედ ამიტომაც გრიბოედოვის სახელობის რუსული თეატრი, მოზარდ მაყურებელთა თეატრი თუ რუსული სკოლები ჩვენთვის ის ხიდია, რომელიც გადებულია არა მხოლოდ ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის, არამედ წარსულსა და მომავალს შორისაც იმ სიკეთის შენარჩუნებისათვის, რომელმაც რუსეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი რთული ურთიერთობიდან მხოლოდ კარგი უნდა შემოგვინახოს და ფაქტობრივად ახალ სიმაღლეზე, ჭეშმარიტი სიყვარულისა და პატივისცემის სიმაღლეზე უნდა აიყვანოს.

ამ ახალი ურთიერთობის ჩამოყალიბებას მხოლოდ პოლიტიკოსები ვერ შეძლებენ. თქვენი სიტყვა აქ ბევრს ნიშნავს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ იუბილეს და თქვენი ისტორიული მისიის ღირსეული აღსრულებისთვის გულწრფელად გიკრავთ ტაშს.

**ე. შევარდნაძე.**

საქართველოს რესპუბლიკა
№259, კვირა, 19 ოქტომბერი, 1997 წელი.

## დაჯილდოება

### მადლობა გამოეცხადათ

საქართველოს თეატრალური ხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით მადლობა გამოეცხადათ ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის თანამშრომლებს:

მსახიობებს **მიხეილ აბროსოვს, ვალენტინა ვოინოვას, ლევ გავრილოვს, ლარისა კრილოვას, ირინე მელვინეთუხუცესს, თეიმურაზ შოთაძეს, კარინა ყენიას, ლეილა ჯაშს,** რეჟისორ **გურამ ჩერქეზიშვილს,** მუსიკალური ნაწილის გამგეს, კომპოზიტორ **თენგიზ ჯაიანს.**

**ე. შევარდნაძე.**

## საქართველოს კანონი

### საქართველოს სსრ ზოგიერთი კანონის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

საქართველოს კონსტიტუციის დებულებათა რეალიზაციისა და სამართლებრივი რეფორმის განხორციელების, საქართველოს კონსტიტუციის 106-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კონსტიტუციასთან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისობის, აგრეთვე ამ პროცესთა კოორდინაციის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს კონსტიტუციის ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს სს რესპუბლიკის ზოგიერთი კანონი თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს პრეზიდენტი
**ედუარდ შევარდნაძე.**

თბილისი, 1997 წლის 1 ოქტომბერი.

#### საქართველოს სს რესპუბლიკის ზოგიერთი ძალადაკარგული კანონის ნუსხა

1. „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებების შესახებ" საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1961 წლის 27 დეკემბრის კანონი (საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1962 წ., №3, მუხ. 47).
2. „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის რესპუბლიკურ ორგანოდან საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ გარდაქმნის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1964 წლის 19 ივნისის კანონი (საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1964 წ., №18, მუხ. 326).
3. „არაკოოპერირებულ შინამრეწველთა და ხელოსანთა რეგისტრაციის წესების დარღვევისა და აკრძალული რეწვის წარმოებისათვის გადიდებული ჯარიმის დაწესების შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1964 წლის 19 ივნისის კანონი (საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1964 წ., №18, მუხ. 332).
4. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1968 წლის 25 დეკემბრის კანონი (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1968 წ., №12, მუხ. 192).
5. „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების კომიტეტის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე მუხლში დამატების შეტანის თაობაზე" საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1970 წლის 18 ივნისის კანონი (საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1970 წ., №6, მუხ. 97).

## რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსთან დაკავშირებით ყოველგვარი ორაზროვნება მიუღებლად მიაჩნია

**16 ოქტომბერს საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში ვაჟა ლორთქიფანიძე შეხვდა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს გენადი სელეზნიოვს.**

**ერთ-ერთი უმთავრესი თემა საუბრისა, რომელზეც განიხილეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტი, იყო აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებული პრობლემები.**

**ვაჟა ლორთქიფანიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება — როგორც პრეზიდენტი, ასევე პარლამენტი, — სერიოზულად არის შეშფოთებული იმის გამო, რომ, მიუხედავად ორმხრივი კონტაქტების გააქტიურებისა და ჟენევის პროცესის დაწყებისა, ჯერ კიდევ არ ჩანს ამ პროცესში რაიმე სერიოზული შედეგი. მან განსაკუთრებული სიმწვავით დააყენა ლტოლვილთა პრობლემა და განაცხადა, რომ ეს უმთავრესი ამოცანა — ლტოლვილთა ორგანიზებული დაბრუნება — კვლავ გადაუწყვეტელია. სასოწარკვეთილი ადამიანების მოთმინება კი, პრაქტიკულად, ამოიწურა.**

სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარემ სრულად გაიზიარა აღნიშნული პოზიცია. მან გამოთქვა თავისი ერთმნიშვნელოვანი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში უნდა განისაზღვროს და ამ საკითხში ყოველგვარი ორაზროვნება, მით უმეტეს, სტატუსის იმგვარი ფორმულირება, რომელიც თანაბარსუბიექტურობას ან კონფედერაციულობას გულისხმობს, მას მიუღებლად მიაჩნია.

გენადი სელეზნიოვმა სავსებით სამართლიანად მიიჩნია საქართველოს მხარის პოზიცია იმის შესახებ, რომ კონფლიქტის ზონაში განლაგებულმა რუსეთის სამშვიდობო ძალებმა უნდა შეასრულონ ლტოლვილთა უსაფრთხოების რეალური დამცველის მათზე დაკისრებული ფუნქცია და უნდა გადაადგილდნენ იმ ტერიტორიებზე, სადაც ამ ფუნქციის შესრულება იქნება საჭირო.

შეხვედრაზე, სხვა საკითხებთან ერთად, განიხილეს რუსეთის სასაზღვრო დეპარტამენტთან ურთიერთობის საკითხიც.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ქართველ პარლამენტართა თხოვნით იგი საფუძვლიანად გაეცნო საქართველოზე სპირტის ტრანზიტთან დაკავშირებულ გახმაურებულ საქმეს და მასთან დაკავშირებით სპეციალურად შეხვდა რუსეთის სასაზღვრო ჯარების დეპარტამენტის დირექტორს ანდრეი ნიკოლაევს. სელეზნიოვის სიტყვებით, მან ვერავითარი ლოგიკა ვერ დაინახა ნიკოლაევის განმარტებებში.

მისი აზრით, რუს მესაზღვრეებს შეეძლოთ და ვალდებულნიც იყვნენ მიეღოთ ტრანზიტული ტვირთი რუსეთის ტერიტორიაზე და თუ იგი უკანონო ან კონტრაბანდული აღმოჩნდებოდა, რუსეთის სათანადო ორგანოებს უნდა განეხორციელებინათ შესაბამისი ზომები ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით. გენადი სელეზნიოვმა განაცხადა, რომ საქართველომ ამ შემთხვევაში მხოლოდ თავისი სატრანზიტო ფუნქცია შეასრულა და მის მიმართ არავითარი პრეტენზია არ შეიძლება არსებობდეს. იგი დაეთანხმა ვაჟა ლორთქიფანიძეს, რომ ამგვარი მოქმედებები იწვევს არასასურველ დაძაბულობას და მნიშვნელოვნად აფერხებს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ნორმალურ განვითარებას.

საუბარი შეეხო რუსეთ-საქართველოს შორის დადებულ „დიდ ხელშეკრულებას" და რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში მისი რატიფიკაციის საკითხს. ვაჟა ლორთქიფანიძემ განუცხადა სათათბიროს თავმჯდომარეს, რომ საქართველოს პარლამენტისათვის გაუგებარია, რატომ აჭიანურებს რუსეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ამ საკითხის გადაწყვეტას.

გენადი სელეზნიოვმა განაცხადა, რომ მიიღებს საჭირო ზომებს ამ ხელშეკრულების განხილვის დასაჩქარებლად.

მხარეებმა კმაყოფილება გამოთქვეს ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში ორი ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებს შორის თანამშრომლობის საგრძნობი გააქტიურების გამო და აღნიშნეს მისი მომავალი სისტემატიზაციის აუცილებლობა.

საქინფორმი.

## ინფორმაცია

### ქართველ და ოს მეცნიერთა „მრგვალი მაგიდა"

16 ოქტომბერს ცხინვალში, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისიის ოფისში გაიმართა ქართველ და ოს მეცნიერთა, არასამთავრობო ორგანიზაციათა – „სამართლიანი არჩევნების" (თბილისი), „სოციალური და პოლიტოლოგიური კვლევის ცენტრის" (სამხრეთ ოსეთი), „საინფორმაციო სააგენტო რესის" წარმომადგენელთა, აგრეთვე დამოუკიდებელ ექსპერტთა „მრგვალი მაგიდა".

განიხილეს საკითხები მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა როლის შესახებ პოსტკონფლიქტურ საზოგადოებაში, სამოქალაქო საზოგადოების მექანიზმების გამოყენება კონფლიქტების მშვიდობიან მოწესრიგებაში, ურთიერთსაინტერესო სხვა საკითხები.

შეხვედრამ გულთბილ ატმოსფეროში ჩაიარა. შეთანხმდნენ განაგრძონ დისკუსიები „მრგვალი მაგიდების" ფარგლებში.

### კარდინალური განსხვავება არ არის

მოსკოვში დაბრუნებისთანავე, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ჯავშან-სატანკო სამმართველოს უფროსმა სერგეი მაევმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ თბილისში მისი ვიზიტი წარმატებული იყო, კარდინალური განსხვავება თბილისისა და მოსკოვის პოზიციებს შორის არ არის, თუმცა ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული უთანხმოება და მიმდინარეობს მუშაობა ამ უთანხმოების აღმოსაფხვრელად.

### აკადემიკოს არჩილ ძიძიგურის სახელობისა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს არჩილ ძიძიგურს დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენს ქვეყანაში ნახშირის მრეწველობის განვითარებისა და სამთო ინჟინერთა კადრების მრავალი თაობის აღზრდის საქმეში. საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის დავით ზუბიტაშვილის ბრძანებით, ქალაქ ტყიბულის მერიის კაბინეტისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება „საქნახშირის" გადაწყვეტილების საფუძველზე, სახაზინო საწარმო „ტყიბულნახშირის" იმერეთის სახელობის მახტს აკადემიკოს არჩილ ძიძიგურის სახელი მიენიჭა.

### ჰაიდარ აბაშიძე – 100

ბათუმში გაიმართა გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ჰაიდარ აბაშიძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი. ქალაქის თეატრში საიუბილეო საღამო გახსნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ილია წულუკიძემ. საღამოს ცნობილი პოეტი ფრიდონ ხალვაში უძღვებოდა.

მწერლებმა თამაზ წივწივაძემ, თამაზ ჭილაძემ, არჩილ სულაკაურმა, რეზო ჭეიშვილმა, ჯემალ ჯაყელმა, ამირან ხაბაზმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა ილაპარაკეს ჰაიდარ აბაშიძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, ხაზი გაუსვეს მის მნიშვნელოვან წვლილს საქართველოს ისტორიაში.

შეხვედრას ესწრებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე.

## შევეწიოთ

### საუკუნის მშენებლობა გრძელდება

#### სტუდენტთა თაოსნობას – ახალი მხარდაჭერა

ელიას მთაზე წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობა ჩვეულ ტემპს დაუბრუნდა, რადგან ღვთის წყალობით კვლავ გამოჩნდა სახსრები და მშენებლები მეოთხე კვარტალში მნიშვნელოვანი სამუშაოების შესრულებას გვპირდებიან.

ახლა მშენებლობაზე ალიონზე იწყება სამუშაო დღე. ბეტონის ფილის დამუშავება დამთავრდა და დღეისათვის უკვე სადრენაჟო სამუშაოები და ძირითადი ნაგებობის არმირება მიმდინარეობს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტთა ინიციატივას თითო ლარი შეიტანონ მშენებლობის ფონდში, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის „დასტაქარის" VI კურსის სტუდენტებიც გამოეხმაურნენ და გადაწყვიტეს მათაც თავიანთი სიტყვა თქვან ამ საშვილიშვილო საქმეში.

წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდი წინასწარ გამოხატავს მადლიერებას ყველა იმ სტუდენტისადმი, ვინც გულთან მიიტანს უნივერსიტეტელთა მოწოდებას, რადგან თვლის რომ ახალგაზრდების მხარდაჭერას განსაკუთრებული ადგილი აქვს ამ დიდი საქმისათვის.



ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ

| | |
|---|---|
| **კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი** | – 425 ლარი |
| **სააქციო საზოგადოება „კოტეხი"** (გურჯაანი) | – 30 ლარი |
| **შსს ყაზბეგის რაიონის განყოფილება** | – 39 ლარი |
| **თბილისის სამგორის აგრობანკი** | – 500 ლარი |
| **ქ. შ. ქონიაშვილი** | – 150 ლარი |
| **დ.ბერძენიშვილი** | – 7 ლარი |
| **თ.ჩუტკერაშვილი** | – 10 ლარი |
| **დ.ჩხიკვაძე** | – 10 ლარი |
| **ა.მაღლაკელიძე** | – 10 ლარი |

## უკანასკნელ საათს

ვლადიკავკაზი. დღეს ჩრდილოეთ ოსეთში აღინიშნება ჩრდილოეთ ოსეთის – ალანიის რესპუბლიკის დღე. დღესასწაული დაწესდა პრეზიდენტ ახსარბეგ გალაზოვის 1994 წლის 13 ოქტომბრის ბრძანებულების შესაბამისად რუსეთთან ოსეთის შეერთების 220 წლისთავის აღსანიშნავად. ტრადიციულად იგი ოქტომბრის მესამე კვირა დღეს აღინიშნება ხოლმე.

მოსკოვი. ხვალ კრემლში გაიმართება უმაღლესი დონის მოლაპარაკება რუსეთის პრეზიდენტს ბორის ელცინსა და კანადის პრემიერ-მინისტრს ჟაკ კრეტიენს შორის, რომელიც დღეს ეწვია მოსკოვს ოფიციალურ ვიზიტად.

დუშანბე. გუშინ ტაჯიკეთის პრეზიდენტის ემომალი რახმონოვის სასახლიდან 100-ოდ მეტრზე აღმოაჩინეს ასაფეთქებელი მოწყობილობა, და მაშინვე გადაიტანეს მეზობელ ქუჩაში, სადაც ძლიერმა აფეთქებამ იგრიალა. ეს უკვე მე-15 ტერაქტია სექტემბრის დამდეგიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ენერგეტიკა

# არა ელექტროენერგიით მხოლოდ

## გვესაუბრება საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით ზუბიტაშვილი

***— რა ძირითად ფუნქციებს ასრულებს და რას უთმობს ამჟამად განსაკუთრებულ ყურადღებას სამინისტრო?***

– ბევრი ოპონენტი გვიკიჟინებდა, ზოგიერთი კი ახლაც ასე ფიქრობს: სისტემაში რეფორმები და პრივატიზაცია იმიტომ ჭიანურდება (არადა, ასე რომ არ არის, მკითხველები, ვფიქრობ, დარწმუნდნენ), რომ სამინისტროს არაფრით არ სურს მართვის ბერკეტების დათმობა და კვლავაც ძველებურად მუშაობსო.

არ არის სწორი. პირიქით, გრძნობს რა ამის აუცილებლობას, სამინისტრომ საქმის სასარგებლოდ საკუთარი ინიციატივით დათმო უამრავი ფუნქცია, რათა დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში გამართულად ემუშავათ. ჩვენ კანონითაც გვეკრძალება მათ სამეურნეო ფუნქციებში ჩარევა და არც ვერევით. მაგრამ, დღესდღეობით, რაკი ჭირს, მაინც გვიხდება პასუხის გაცემა იმისათვის, თუ რატომ არ არის, ვთქვათ, ამა თუ იმ რეგიონსა და უბანში დენი.

ძალაუფლების მონოპოლიზაცია, დღევანდელ პირობებში ამის გაკეთება რომც შეიძლებოდეს, ჩვენს ინტერესებში არც შედის. ისედაც იმდენი საქმე გვაქვს, საკუთრივ სამინისტროს გასაკეთებელი, დღეღამეში ოცდაოთხი საათიც არ გვეყოფა. ავიღოთ, თუნდაც, პრაქტიკულად არარსებული ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია (70-80-იან წლებში არსებული საბჭოური ნორმატივებით დღეს ხომ ვერ ვიხელმძღვანელებ) მთელს სათბობ-ენერგეტიკის დარგში. სწორედ ამაზე მუშაობს ჩვენი დავალებით სათბობ-ენერგეტიკის ინსტიტუტი. მოგეხსენებათ, რამდენი შრომა იყო საჭირო „ენერგეტიკის შესახებ“ კანონის შესამუშავებლად. ახლა მზადდება კანონები „ნავთობისა და გაზის“, „წილობრივი განაწილების“, „მაგისტრალური მილსადენების“ შესახებ. ჩვენი საქმიანობა მიმართულია ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავებისაკენ, რომლითაც უნდა გაირკვეს, რა მიმართულებით ვიაროთ.

აი, ეს არის მოკლედ სამინისტროს ძირითადი და გადაუდებელი საზრუნავი, რასაც, დამეთანხმებით, უზარმაზარი დრო და ჯაფა სჭირდება. და ასეთ პირობებში რეფორმების შედეგად უკვე ცალკე სამეურნეო ერთეულებად ჩამოყალიბებული ორგანიზაციებისა თუ ობიექტების საქმიანობაში ჩარევა სწორად არ მიმაჩნია. საკუთარი საკეთებელი ხომ ისედაც ძალიან ბევრი გვაქვს, თანაც ძალიან მნიშვნელოვანი.

***— გეთანხმებით, გასაკეთებელი და საფიქრალ-საზრუნავი მართლაც ძალზე ბევრია, მაგრამ ამას ხომ დიდძალი ფული სჭირდება, რომელიც დღესდღეობით, სამწუხაროდ, არა გვაქვს. ამიტომაც საჭიროა ინვესტიციები. რა მდგომარეობაა ამ მხრივ? დროულად შემოდის ყველა დაპირებული ფულადი დახმარება და გადაუდებლად, საჭიროებისამებრ ვიყენებთ მათ?***

– ძალიან მნიშვნელოვან და მტკივნეულ საკითხს შეეხეთ. როგორც ვთქვი, დაახლოებით 400 მილიონი დოლარია საჭირო 1990 წლის დონის მისაღწევად, ანუ იმისათვის, რომ ამჟამინდელი 7,5-8-ის ნაცვლად წელიწადში 14 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია გვქონდეს და მოსახლეობაც და ეკონომიკაც დავაკმაყოფილოთ.

დღეს გვიჭირს, თორემ, მერწმუნეთ, მალე მოვა დრო, როდესაც საქართველო ელექტროენერგიის ერთ-ერთი მსხვილი ექსპორტიორიც გახდება. ამის პოტენციალი მას აქვს. ეს კარგად იციან საზღვარგარეთელმა ინვესტორებმა და ამიტომაც არიან დაინტერესებული ჩვენ დარგში ფულის დაბანდებით. ამიტომაც შემუშავდა დარგის კრიზისიდან გამოყვანის ყოველმხრივ გაანგარიშებული სამწლიანი პროგრამა, რომლის რეალიზაციასაც ზემოაღნიშნული თანხა სჭირდება.

***— ამ თანხიდან რამდენი მიიღეთ დღემდე, როგორ გამოიყენეთ იგი და რას ველოდებით მომავალში?***

– 1995 წლიდან მოყოლებული, წლის ბოლომდე დასამთავრებელი სამუშაოების ჩათვლით, ავითვისეთ და უნდა ავითვისოთ სულ 63 მილიონი დოლარი.

***— მეტი ვერ აითვისეთ, თუ არ მოგვცეს?***

– არც ერთი და არც მეორე. უბრალოდ, საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტებიდან ფულის მიღების დაჩქარების სხვა გზა და მეთოდი არ არსებობს. იქ უამრავი ბიუროკრატიული ბარიერია გადასალახავი თუნდაც ერთი დოლარის გამოსაყოფად. საქართველოს მხარის მიზეზით ერთი წუთითაც არ დაგვიანებულა ფულის ათვისება.

მათი მუშაობის პრაქტიკის საილუსტრაციოდ მოკლედ მოვიყვან ერთ მაგალითს: დაახლოებით სამი თვე სჭირდება, ვთქვათ, საერთაშორისო ტენდერის ჩატარებას, შემდეგ კიდევ სამი თვის მანძილზე ჯამდება მისი შედეგები, მომდევნო სამი თვე ეძლევა უკვე ტენდერში გამარჯვებულ ორგანიზაციას მოსაფიქრებლად, მართლაც არის თუ არა იგი თანახმა და მზად იმისათვის, რომ საქმეს პრაქტიკულად მოჰკიდოს ხელი. როცა ყველაფერი დაზუსტდება, ამის მერე მსოფლიო ბანკის თუ სხვა საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტის დირექტორთა საბჭო ორი თვის მანძილზე განიხილავს ამ საკითხს და ღებულობს გადაწყვეტილებას, გახდება თუ არა ეფექტური პროექტი, ანუ სესხი. აი, ამის შემდეგღა, თითქმის წელიწადის მერე, იწყება კონკრეტული მუშაობა, რომელიც ასევე თვეების მანძილზე, ზოგჯერ წელიწადზე მეტიც გრძელდება. ფულიც თანდათანობით გამოიყოფა.

თანაც ხაზგასმით მინდა აღვნიშნო ერთი საკითხი: ნურვის ეგონება, თითქოს ეს ფული პირდაპირ ჩვენს სამინისტროს ან თუნდაც საქართველოს ეძლევა: ტენდერში გამარჯვებულს მესრულებული სამუშაოს მიხედვით ნაწილ-ნაწილ ურიცხავს ფულს უშუალოდ მსოფლიო ბანკი თუ სხვა საერთაშორისო ორგანიზაცია. თითოეული ცენტის ხარჯვასაც უამრავი უცხოელი ექსპერტი ამოწმებს. სწორედ ამიტომაც, ჯერჯერობით, ვერ ავითვისეთ 63 მილიონ დოლარზე მეტი.

***— კონკრეტულად მაინც დროის რა მონაკვეთი სჭირდება იმ 400 ათასი დოლარის ათვისებას, საქართველოს ელექტროენერგეტიკის კრიზისიდან გამოყვანისა და წელიწადში ჩვენთვის საჭირო 14 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგიის მიღებისათვის რომ არის აუცილებელი?***

– სამი წელიწადი. მომავალი წლის ბოლოსთვის დამთავრდება კიდევ 75 მილიონი დოლარის სამუშაოები. შემდგომ პერიოდში ენგურჰესის კასკადზე, ჟინვალჰესზე, ვარციხჰესზე, ხრამჰეს-II-სა და ლაჯანურჰესზე, ხაზებსა და ქვესადგურებში განსახორციელებელ სამუშაოებს მოხმარდება 167 მილიონი დოლარი. ეს უკვე შესრულებულ სამუშაოთა ღირებულებასთან ერთად 305 მილიონი დოლარია. დარჩენილი 95 მილიონი დოლარი კი საქართველომ უნდა გაიღოს, სხვაგვარი პირობით მსოფლიოში სესხს არავინ იძლევა. ეს პროგრამა ყოველმხრივ გაანგარიშებული, მრავალგზის აწონ-დაწონილი და რეალურია.

***— თქვენ ამბობთ, რეალურიაო, მაგრამ, თუ ჩვენი წილი პირობები არ შევასრულეთ, — მხედველობაში მაქვს თუნდაც მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების 70 პროცენტის ამოღება, — მივიღებთ კი სრულად ამ თანხებს, ან საქართველოს ბიუჯეტი შესძლებს უამისოდ სისტემისთვის 95 მილიონი დოლარის გამოყოფას?***

– ეს მართლაც ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია. საერთოდ, ქვეყნის ელექტროენერგეტიკის კრიზისიდან გამოსაყვანად ფულადი სახსრების მიღების ორი გზა არსებობს. პირველი გახლავთ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების მინიმუმ 70 პროცენტის ამოღება, და მეორე – მასზე დამოკიდებული საზღვარგარეთული ინვესტიციები და კრედიტები. მასზე დამოკიდებული-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ თუ წლის ბოლოსთვის თანხების ამოღებამ 70 პროცენტს არ მიაღწია, საერთაშორისო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები ჩვენს სისტემაში ფულს არ დააბანდებენ. ეს მათი კატეგორიული მოთხოვნაა.

***— რამდენია სადღეისოდ სისტემის წინაშე დავალიანება და ვინ არის ყველაზე „ურჩი“ გადამხდელი?***

– პირველი სექტემბრის მდგომარეობით დებიტორული დავალიანება შეადგენს 195.352 ათას 500 ლარს. ყველაზე მსხვილი მევალეები არიან: „თელასი (70.216.5 ლარი), სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე (11.464.7), იმერეთის მხარე (38.408.7), გურია (1.420.9), მესხეთი (1.405.8), ქვემო ქართლი (8.875), შიდა ქართლი (8.787.6), კახეთი (3.665.2), სააქციო საზოგადოება „ქიმკომბინატი“ (16.808), რუსთავის მეტალურგიული კომბინატი (1.298.1), ზესტაფონის ფერომენადნობთა ქარხანა (4.322.7) და სხვები.

***— გადახდის პროცენტული მაჩვენებელი როგორია? თანაც თქვენ ცენტრალიზებულადაც ხომ შემოგდით ფული ბიუჯეტიდან, რომელშიც საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებისა თუ პენსიონერებისთვის საგანგებოდ საამისოდ ნამატებული თანხები იგულისხმება?***

– გადახდის პროცენტული მაჩვენებლები ასეთია: თბილისი-50 პროცენტი, აჭარა-79, გურია-66, სამეგრელო-ზემო სვანეთი-72, იმერეთი-42,5, რაჭა-ლეჩხუმი-60, მესხეთი-65, შიდა ქართლი-71, ქვემო ქართლი-56,8, კახეთი-116 პროცენტი და ა.შ. მაგრამ ყველაფერი ეს, ძირითადად, ჩათვლების ხარჯზე გაკეთდა, რაც შეეხება ბიუჯეტიდან ცენტრალიზებულად შემოსულ თანხებს, ის მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების სულ 18 პროცენტია. თანაც ეს თანხაც ჩვენთან არ შემოსულა, ბიუჯეტშივე დარჩა, ჩაგვითვალეს, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია ბიუჯეტის შევსებისათვის.

დასკვნისთვის მხოლოდ ერთს ვიტყვი: იმისათვის, რომ კარსმომდგარი ზამთრის პერიოდში სამყოფი გაზი, მაზუთი თუ სხვა ნედლეული შევიძინოთ, რათა გრაფიკის დაცვით ელექტროენერგია მთელ საქართველოს თანაბრად ვუწილადოთ, ამ დავალიანების მესამედზე ნაკლები თანხა გვჭირდება, ფულის ამოღება კი ჭირს.



***— ეს, რა თქმა უნდა, ყველაზე უტყუარი არგუმენტი არ არის, მაგრამ ხალხსაც რომ უჭირს, ბატონო დავით? ასეთი მწირი შემოსავლის მქონემ, როგორ გადაიხადოს? ამას წინათ ერთი ხანდაზმული, დამაშვრალი პენსიონერი მეუბნებოდა, ოთხმოციოს ისე მოვიყარე, ელემენტარული წესიც არ დამირღვევია, ახლა კი, ჩემდაუნებურად, დამნაშავე გავხდი, სახელმწიფოს კუთვნილ გადასახადს ვერ ვუხდი, რა ვქნა, ჩემი რვა ლარის პენსია რამდენ რამეს გავანვდინოო.***

– ჩემს ადრინდელ გამოსვლებშიც ხშირად მითქვამს და ახლაც ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან კარგად მესმის ამ კატეგორიის ადამიანებისა. უფრო მეტიც: ჩვენ სოცუზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების და ფინანსთა სამინისტროებთან ერთად დავიანგარიშეთ, რომ დღეისათვის საქართველოში არის სულ ცოტა 120 ათასი ოჯახი, რომლებსაც ამჟამინდელი საერთო სიდუხჭირის პირობებშიც კი უკიდურესად უჭირთ. არც არის ლაპარაკი იმაზე, რომ მათ გადაიხადონ.

მაგრამ, როდესაც ფულს არ იხდიან მსხვილი სამრეწველო საწარმოები და ორგანიზაციები, განსაკუთრებით, კომერციული ფირმები თუ კომპანიები, ღამითაც რომ მუშაობენ, არაკანონიერი გზით მიღებული ელექტროენერგიით ამზადებენ პროდუქციას, რომელსაც, რომც კვდებოდე, უფულოდ არასოდეს მოგცემენ, ეს უკვე მოუთმენელია. ისინი მაინც რომ პატიოსნად იხდიდნენ გამოყენებული ელექტროენერგიის საფასურს, მდგომარეობა ბევრად უკეთესი იქნებოდა.

***— ასეთი ფაქტი მართლაც ბევრია, მაგრამ ამასაც ხომ უნდა აკონტროლებდეს ვინმე და სათანადო რეაგირებასაც აკეთებდეს?***

– ამას, უწინარესად, უნდა ამოწმებდნენ და კონკრეტულ ფაქტებსაც გამოავლენდნენ მუნიციპალური ენერგოკომპანიები, სამინისტრო ამაში არც უნდა ერეოდეს, მაგრამ რაკი ეს საკითხი დღევანდელი სიძნელის გათვალისწინებით განსაკუთრებულად პოლიტიკურ ელფერსაც იძენს, ჩვენც მხოლოდ ამის გამო ვმონაწილეობთ მასში.

აი, ამას წინათაც თბილისის მერიის, თელასის და საქენერგოს წარმომადგენლებთან ერთად შევამოწმეთ დედაქალაქის რამდენიმე რაიონი. გამოვლინდა უამრავი დარღვევა ელექტროენერგიის დატაცების ფაქტები. დაახლოებით 200 ათასი ლარის ღირებულების ელექტროენერგიაა მითვისებული.

ეს ვითარება მხოლოდ ერთი შემოწმებისას დადგინდა. მაგრამ განა თბილისის და, საერთოდ, საქართველოს სხვა ქალაქებსა თუ რაიონებში არ არის ანალოგიური ფაქტები? განა ელ. გადამცემი ხაზების თითქმის ყოველ მეორე ანძაზე არხალ რეგისტრირებული ორგანიზაციები არ არიან „ჩამოკიდებული“?

ქვესადგურიდან გამოშვებული სიმძლავრის თითქმის 60 პროცენტი გზაში იკარგება. ეს დაადასტურა, თუნდაც, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ჩვენს მიერ მოწვეულმა აუდიტმა — ერთ-ერთმა ბრიტანულმა კომპანიამ, რომელმაც საკონტროლო შემოწმებები ჩაატარა თბილისში, გორსა და რუსთავში.

***— იქნებ დაგვისახელოთ ზოგიერთი მათგანი?***

– მოდით, შევთანხმდეთ: ნურვინ ჩამითვლის ამას უპრინციპობაში, მაგრამ ამჯერად კონკრეტული მისამართებისა და პიროვნებების დასახელებისგან თავს შევიკავებ. მხოლოდ იმიტომ, რომ შემოწმებისას ამ დარღვევებში მხილებული ზოგიერთი ორგანიზაცია და ხელმძღვანელი საზოგადოებაში ფრიად პატივსაცემი და ავტორიტეტულია. თანაც ბევრმა ხელმძღვანელმა შესაძლოა მართლაც არ იცოდა, თუ მის ორგანიზაციაში ასეთი დარღვევა ხდებოდა. შევპირდნენ მდგომარეობის პრაქტიკულად გამოსწორებას. მაგრამ თუ ვითარება მართლაც არ გამოსწორდა და მორიგი შემოწმებისას, რაც აწი რეგულარულად მოეწყობა, კვლავ გამოვლინდა ანალოგიური დარღვევები, მაშინ მათ თხოვნას არ გავითვალისწინებთ.

***— ვფიქრობ, მხოლოდ ნამუსზე შეგდებით მდგომარეობა გამოსწორდება. ასეთ ფაქტებზე რეაგირება ხომ უნდა მოახდინოს ვინმემ?***

– ჩემი აზრით, ამის მხოლოდ სამი გზა არსებობს. პირველი — ეს არის კვლავ მუნიციპალური ენერგოკომპანიების ეფექტური საქმიანობა, მეორე — საჭიროა სათანადო საკანონმდებლო ბაზა, რაც აქამდე არ იყო. ამიტომაც ელექტროენერგიის დამტაცებელი 20-30 ლარითღა ჯარიმდებოდა. მალე მდგომარეობა ამ მხრივ რადიკალურად შეიცვლება, რადგან პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე შეიტანა ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში, რომელშიც ელექტროენერგიის, გაზისა თუ საწვავის მოპარვა სახელმწიფო ქონების ქურდობის ტოლფასად არის აღიარებული და უაღრესად მკაცრ სანქციებს ითვალისწინებს; და მესამე — მთელი საზოგადოების შეგნების ამაღლება, იმის შეგრძნება, რომ ყველამ ერთად უნდა ვებრძოლოთ ასეთ დაუსჯელ განუკითხაობას, გავუფრთხილდეთ საერთო ქონებას — ყოველ კილოვატსაათ ელექტროენერგიას, თორემ კრიზისიდან საბოლოოდ გამოსვლა გაგვიჭირდება.

ესაუბრა

**რუსლან რუსია.**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ №258.

საქართველოს რესპუბლიკა
№259. კვირა. 19 ოქტომბერი. 1997 წელი.

## თბილისობა

# დღესასწაულს სოციალური დატვირთვა ექნება

დღესასწაულის ერთ-ერთი მთავარი მომენტი სამემოდგომო ბაზრობებია, რომლებზეც საქართველოს სხვადასხვა კუთხეების წარმომადგენლები თავიანთი შრომით მოწეულ მოსავალს ჩამოიტანენ. სადღესასწაულო ვაჭრობა დედაქალაქის ყველა რაიონში გაიმართება. გვპირდებიან, რომ ფასები თბილისელებისათვის ხელმისაწვდომი იქნება.

თბილისობა უკვე დღეს გაიაზრება, როგორც ჩვენი მიღწევების ერთგვარი დემონსტრირება, და მისი განვითარების ხვალინდელი დღის ლოგიკა გვიკარნახებს, რომ ეს ტრადიცია მომავალში ერთი ქვეყნის ჩარჩოებში ვეღარ ჩაეტევა და საერთაშორისო ხასიათს მიიღებს. თავისთავად ამ ტენდენციის ნიშნები საკმაოდ გამოკვეთილი იყო ადრეც და წლევანდელ პირობებში კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება. ამაზე – ცოტა ქვემოთ.

წლევანდელი ბაზრობების თავისებურება მათი ორმხრივობაა: სოფელი – ქალაქს, ქალაქი – სოფელს. დედაქალაქის საწარმოები და ორგანიზაციები თბილისში დამზადებულ პროდუქციას შესთავაზებენ რეგიონიდან ჩამოსულ სტუმრებს. ეს მათთვის დროისა და სახსრების ეკონომია იქნება. ჩვენთვის ცნობილია, რომ ყველა რაიონი სახალხო დღესასწაულზე საინტერესო კულტურულ პროგრამასაც წარმოგვიდგენს.

ზეიმის დღეებში საგამოფენო კომპლექს „ექსპო-ჯორჯიაში" ქართული სამრეწველო პროდუქცია გამოიფინება, სადაც წარმოდგენილი იქნება თბილისის ფაბრიკა-ქარხნების ნაწარმი, ტექნოლოგიები, დანადგარები. ვფიქრობთ, ეს ღონისძიება გარკვეულწილად შეუწყობს ხელს საქართველოს სამრეწველო კომპლექსის გამოცოცხლებას და ჩვენი პროდუქციის პოპულარიზაციას.

წლევანდელ დღესასწაულს სოციალური დატვირთვაც აქვს. ზეიმის დღეებშიც ახალი ძალით გამოიკვეთება სოციალურად დაუცველი ჩვენი მოქალაქეებისადმი განსაკუთრებული ყურადღება. პროგრამებს, რომლებსაც ეს დატვირთვა ექნება, ამ დღეებში დედაქალაქის ყველა რაიონი განახორციელებს, განსაკუთრებით გაჭირვებულ მოსახლეობას დაეხმარებით პროდუქტებით, რითაც კი შევძლებთ, ისნის რაიონში გაიხსნება უფასო სასადილო, ყველანაირად შევეცდებით ხელი გავუმართოთ უსახსროდ მყოფ ადამიანებს, მათ შორის, ბუნებრივია, ლევენილებს, დროებით ადგილნაცვალ პირებს.

25 ოქტომბერს გაიმართება თბილისის საპროთეზო-ორთოპედიული ქარხნის პრეზენტაცია, რომლის დროული გამვებაც ჩვენი გერმანელი პარტნიორის „ოტობოკის" მეშვეობით გახდა შესაძლებელი. სწორედ ამ ფირმისა და საქართველოს სოცუზრუნველყოფის სამინისტროს მჭიდრო ურთიერთობამ დააჩქარა ამ მართლაც მნიშვნელოვანი ობიექტის მწყობრში ჩაყენება. ყველას კარგად მოეხსენება, როგორ უჭირთ ინვალიდებს, როგორ სჭირდებათ მათ ხელისშეწყობა და გამხნევება, რათა თავი საზოგადოების სრულფასოვან წევრებად იგრძნონ.

ნებისმიერი საწარმოს ამუშავება დღეისათვის ბედნიერებაა, რადგან ქალაქში ჯერ კიდევ საკმაოდ დიდია დაუსაქმებელთა რაოდენობა. ახალი საწარმო ახალი სამუშაო ადგილებია, ადამიანების დასაქმებაა. ამასთან, ახალი გადამხდელიც, რაც ბიუჯეტის შევსების ახალ წყაროს ნიშნავს.



თბილისში გაიხსნება ახალი ქირურგიული კლინიკა (ქალაქის პირველ საავადმყოფოში). ამ საქმეში მნიშვნელოვანია პროფესორ ზ. ცხაკაიას ძალისხმევა. საერთაშორისო სტანდარტების კიდევ ერთი სამკურნალო დაწესებულება შეემატება ჩვენს ქალაქს, რომელშიც, რა თქმა უნდა, ავადმყოფებს მართლაც ხარისხიანად უმკურნალებენ.

თბილისელებს ახსოვთ, რომ ყველა შემოდგომაზე ვზეიმობდით ახალმოსახლეობას. ასე იქნება ამჟამადაც: ექსპლოატაციაში შედის ორი ახალი საცხოვრებელი სახლი. უნდა ითქვას, რომ ეს დიდი მნიშვნელობის ფაქტია. ბინებით უზრუნველვყოფთ იმათ, ვინც დეკემბერ-იანვრის საომარი მოქმედებების დროს დაზარალდა. ამასთან, ეს ფაქტია, რეალური იმედია იმისა, რომ პერსპექტივაში საკუთარი ჭერის მომლოდინე ადამიანების დიდი ნაწილიც დაკმაყოფილდება საცხოვრებელი ფართით.

თბილისობის დღეებში დედაქალაქს რამდენიმე სხვა ობიექტიც შეემატება – მაღაზიები თუ რესტორნები.

მშენებელთა და არქიტექტორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყველა ახალი ობიექტი არის მაღალი ხარისხის, საერთაშორისო ნორმებითა და მოთხოვნილებებით აგებული.

ორიოდ სიტყვა კულტურული პროგრამის შესახებ.

თბილისობას საზეიმო აკორდებივით უძღოდა წინ არა ერთი და ორი კულტურული თუ სპორტული დღესასწაული. საკმარისია დავასახელოთ პიანისტთა პირველი საერთაშორისო კონკურსი თუ მსოფლიო ჩემპიონატი ჭიდაობა სამბოში. ამ დღეებში მიმდინარეობს მიხეილ თუმანიშვილის სახელობის საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი". ფესტივალს დიდი საერთაშორისო რეზონანსი აქვს.

ეს ნიშნავს, რომ სტაბილურობა ფაქტია და ამ ფონზე ჩვენი ეროვნული კულტურის განვითარება აღმავალ გზას დაადგა.

თბილისობის დღეებში ფესტივალი „საჩუქარი" უკვე დამამთავრებელ სტადიაში შედის, ესტაფეტას თბილისობას გადასცემს, ყველა სცენა დაეთმობა ჩვენს მხატვრულ კოლექტივებს, რომლებიც გვპირდებიან, საინტერესო სანახაობა უჩვენონ მაღალი გემოვნების, მომთხოვნ თბილისელებს.

წელს თბილისის სამხატვრო აკადემიას დაარსებიდან 75 წელი უსრულდება. მიმდინარეობს შენობის, დარბაზების, ფასადის სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოები. ვფიქრობ, ეს იუბილეც ღირსეულად უნდა აღინიშნოს. ამ მნიშვნელოვან თარიღს ეძღვნება სამხატვრო აკადემიის პროფესორმასწავლებლების, კურსდამთავრებულების ნამუშევრების გამოფენა, ახალგაზრდა მოქანდაკეთა პლენერი.

სურათების ეროვნულ გალერეაში მოეწყობა ცნობილი გერმანელი მხატვრის ვერნერ რუდიგერის ძალზე საინტერესო გამოფენა. ნიშანდობლივია, რომ მან შექმნა ძველი ტაო-კლარჯეთის არქიტექტურული ძეგლების მთელი სერია.

სამწუხაროა, რომ დღეს მართლაც ჭირს თეატრალური კოლექტივების თუ ორკესტრების დაფინანსება, მაგრამ ჩვენთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია შევინარჩუნოთ არსებული სულიერი ღირებულებები და მათი განვითარებისთვისაც ვიზრუნოთ. ვზრუნავთ კიდეც.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია თბილისის საკონცერტო ორკესტრის პირველი საჯარო გამოსვლა, რომელიც 25 ოქტომბერს გაიმართება დიდ საკონცერტო დარბაზში. ეს პრაქტიკულად გახლავთ თბილისის „ბიგ-ბენდი", ძალიან დიდი შრომის შედეგად ჩამოყალიბდა ეს კოლექტივი, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ბატონებს გივი გაჩეჩილაძეს, გაიოზ კანდელაკს, სახელმწიფო კანცელარიას, თბილისის მერიას.

ქართულ „ბიგ-ბენდთან" ერთად დაუკრავს ინგლისური ჯაზური ჯგუფი. ესეც მნიშვნელოვანია.

გარკვეული მეხვენების შემდეგ სტუმრებს უმასპინძლებს ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ. აქ გაიმართება მრავალფეროვანი კულტურული პროგრამა საბავშვო ანსამბლების, რეგიონების საუკეთესო კოლექტივების მონაწილეობით.

თბილისობის დღეებში ტრადიციულად მრავალი სპორტული შეჯიბრება გაიმართება. მოეწყობა შეჯიბრი სპორტის მრავალ სახეობაში, თბილისის უბნებს შორის ჩემპიონატის ფინალი მინიფეხბურთში.

უმთავრესი მოვლენები 26 ოქტომბერს განვითარდება რიყეზე. აქ სრულად იქნება წარმოდგენილი საქართველოს ყველა კუთხე, უკლებლივ ყველა რეგიონი თავისი კულტურული პროგრამით, სამემოდგომო ნობათით.

ესეც ტრადიციაა, როდესაც აქ, რიყეზე მთელი საქართველო იკრიბება, სითბოს, სიყვარულის ურთიერთგასაზიარებლად.

აქვე, რიყეზე მოელენ თბილისში მცხოვრები ეროვნული დიასპორების წარმომადგენლები საკუთარი კულტურებისათვის დამახასიათებელი პროგრამებით, სიმღერებით, ცეკვებით, წარმოდგენებით, რაც მრავალფეროვნებას შემატებს სახალხო დღესასწაულს.

თბილისობის ზეიმის ერთ-ერთი უმთავრესი მოვლენა იქნება საპატიო თბილისელთა დაჯილდოება კულტურულ-გასართობ კომპლექს „არაგვში", რომელიც წლების განმავლობაში არ ფუნქციონირებდა, თბილისობის დღეებში კი სრულიად განახლებული სახით წარმოგვიდგება. თბილისობის დასკვნითი ნაწილი სწორედ აქ გაიმართება.

ამ ბოლო პერიოდში ძალზე გაფართოვდა თბილისის დაძმობილებული ქალაქების არეალი. ჩვენ მათთან გაფორმებული გვაქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები. და აი, ველოდებით სტუმრებს პარიზიდან, ნანტიდან, ინსბრუკიდან, საარბრიუკენიდან, ათენიდან, ანკარიდან, კიევიდან, მოსკოვიდან, ოდესიდან, ბაქოდან, ერევნიდან და ა. შ. მათი ჩამოსვლა მნიშვნელოვანია მომავალი თანამშრომლობის განმტკიცების თვალსაზრისითაც.

დარწმუნებული ვარ, ზეიმის ეს ორი დღე ძალზე საინტერესოდ, დასამახსოვრებლად წარიმართება თბილისელებისთვის, სტუმრებისთვის და თბილისობა იქცევა ჭეშმარიტი ძმობისა და მეგობრობის არენად.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ დიდია საქართველოს პრეზიდენტის ყურადღება თბილისობის დღესასწაულისადმი. მისი დაინტერესებითა და მხარდაჭერით გადაწყდა არა ერთი და ორი პრობლემა, რისთვისაც გულითადი მადლობა გვინდა მოვახსენოთ მას.

ამ წინასადღესასწაულო წერილში პრობლემებზე არ მისაუბრია. რა თქმა უნდა, პრობლემები გვაქვს. მათი მოგვარებისთვის ზრუნვა დედაქალაქის მერიისთვის არის აუცილებელი და ჩვეულებრივი პროცესი, თანაც – შეღავათი. მინდა ყველას გვჯეროდეს, რომ ჩვენი მშობლიური, ულამაზესი დედათბილისი მძლავრი და განვითარებული ქალაქი იქნება, ოღონდ მის წინსვლაში ყველამ გულითადი მონაწილეობა უნდა მიიღოს და საკუთარი, თუნდ მცირე წვლილი შეიტანოს.

ყველა თბილისელს, ჩვენს ძვირფას თანამოქალაქეებს კიდევ ერთხელ ვულოცავთ დამდეგ თბილისობას.

**ბადრი შოშიტაიშვილი,**
თბილისის მერი.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

## მედიცინის კვირეული

# გულო, ჩადექ საგულესა

დებორის (ამერიკის შეერთებული შტატები) გულისა და ფილტვის ცენტრში პროგრამით – „მსოფლიო ბავშვები" – გულის მანკით დაავადებულ 120 ქართველ ბავშვს დაუბრუნეს ჯანმრთელობა. ამ ცენტრისა და საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შორის შვიდი წლის ურთიერთობას, მათი სამედიცინო კავშირების გაგრძელებასა და გაფართოებას მიეძღვნა პრესკონფერენცია, რომელიც გაიმართა საქართველოს ჟურნალისტთა სახლში.

დებორის ცენტრის პრეზიდენტმა სპირო მარჯიოტისმა განაცხადა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ 1990 წელს ჩამოიტანეს სამედიცინო მოწყობილობა და მაშინვე ამერიკელ სპეციალისტთა ჯგუფმა გულის ოპერაცია 20 ნორჩ პაციენტს გაუკეთდა.

ამ დღეებში კიდევ ორ ქართველ ბავშვს გაუკეთდა ოპერაცია, რომლებიც თავს კარგად გრძნობენ.

საქინფორმი.



პრესკონფერენციის დროს.



მსოფლიოს კატაკლიზმები აზანზარებს: წყალდიდობა, მიწისძვრა, ქარიშხალი...

ამ ფოტოზეც მექსიკაში ქარიშხალ პაულინას დამანგრეველ შედეგს ხედავთ. აქ დაიღუპა 400 კაცი, 20 ათასი უსახლკაროდ დარჩა, კურორტი აკაპულკო პრაქტიკულად აღარ არსებობს.

## ვინა თქვა, სპარსეთის მზე ჩაესვენაო?!

თეირანის რადიომ გადმოსცა ცნობა, რომ აქ წარმატებით გამოსცადეს „სტელსის“ ტექნოლოგიით დამზადებული სამამულო წარმოების უპილოტო თვითმფრინავი.

როიტერის მონაცემებით, თვითმფრინავი გამოიყენება სპარსეთის ყურეში სამხედრო-საზღვაო წვრთნის დროს. იგი ძირითადად სადაზვერვო მიზნებისათვის არის განკუთვნილი.

როგორც სააგენტო აღნიშნავს, სექტემბრის დამლევს, ირანული წარმოების პირველი ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენი „აზარაქში“ (ელვა) მონაწილეობდა ფართომასშტაბიან წვრთნაში და დაბომბა საგანგებოდ შერჩეული ობიექტები.

წინა კვირას თეირანში გამოცხადდა, რომ ძრავა და ელექტრონული მოწყობილობის ზოგიერთი კომპონენტი იმპორტირებულია. იმპორტიორი ქვეყანა არ დაუსახელებიათ. ირანის სამხედრო სამზადისი ისრაელისა და შეერთებული შტატების, აგრეთვე, მისი სპარსეთისყურელი მეზობლების შეშფოთებას იწვევს, დასძენს როიტერი.



პანამის სატვირთო გემი მეჩეჩზე შეჯდა საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროსთან. შეიქმნა გემის ნაპირზე გარიყვის საფრთხე.

## ტრანსპლანტაცია: ლუკმა გაავარდეს, ჯამში ჩაავარდეს

ჩინეთის სამხედრო ჰოსპიტლებში ამზადებენ სხვადასხვა ორგანოების ტრანსპლანტაციებს, რომლებსაც შემდეგ ჰყიდიან მდიდარ უცხოელებზე, მათ შორის, ამერიკელებზე, ამას იუწყება ტელეკომპანია ეი-ბი-სის ახალი ამბების სამსახური. ტელეკომპანიის ჟურნალისტებმა ეს ინფორმაცია მიიღეს საგანგებო გამოკვლევის შედეგად. გამოკვლევა კი მოაწყვეს მას შემდეგ, რაც ნიუ-იორკში გამომავალ ჩინურ გაზეთში წაიკითხეს სარეკლამო განცხადება. დარეკეს აღნიშნული ტელეფონით და შეიტყვეს, რომ მაგალითად, თირკმელი ღირებულა 30 ათასი დოლარი. შინაგანი ორგანოების მეტი წილი ეკუთვნით სიკვდილით დასჯილ პატიმრებს. მიღებული მონაცემები დადასტურდა ინტერვიუებით, რომლებიც ჟურნალისტებს მისცეს როგორც ჩინური ჰოსპიტლების ექიმებმა, ისე მათმა კლიენტებმა. მაგალითად, ტაილანდის მოქალაქემ, ქალმა, ჟურნალისტებს უთხრა, რომ ნამჯუნის სამხედრო ჰოსპიტალში თირკმელი მიიღო ტუსაღთა ჯგუფის სიკვდილით დასჯის შემდეგ

## მილიარდიანი შლიახტიჩური ჟესტი

„შვერინერ ალგემაინე“ აქვეყნებს მასალას, რომელიც ეძღვნება პოლონეთში სამხედრო რეფორმის მიმდინარეობას. როგორც გაზეთი იუწყება, პოლონეთის მთავრობამ ქვეყნის თანამედროვე ისტორიის მანძილზე პირველად გადაწყვიტა, შეისყიდოს იარაღის დიდი პარტია არა რუსეთის, არამედ სხვა ქვეყნისაგან. „ალგემაინეს“ ინფორმაციის მიხედვით, ამჟამად პრაქტიკულად უკვე ხელმოსაწერად არის მომზადებული პოლონეთ-ისრაელის ხელშეკრულება ახალი მოდელების პოლონური შვეულმფრენებისთვის რაკეტების დიდი პარტიის შესყიდვის შესახებ. ექსპერტთა შეფასებით, გარიგების თანხა რვაას მილიონ დოლარს გადააჭარბებს. გაზეთი აღნიშნავს, რომ პოლონეთის ხელისუფალთ განზრახული აქვთ, დადონ ეს გარიგება, მიუხედავად იმისა, რომ ისრაელის პროდუქცია სულაც არ არის მსოფლიოში საუკეთესო და, ამასთანავე, სხვაზე ძვირია. მაგრამ, დასძენს გაზეთი, იარაღის ესოდენ დიდი პარტიის შეძენას პოლონეთისათვის აქვს არა პრაქტიკული, არამედ უფრო პოლიტიკური მნიშვნელობა. გარიგების მიზანი, ხაზს უსვამს გაზეთი, მხოლოდ და მხოლოდ ის არის, რომ პოლონეთმა დაუმტკიცოს რუსეთს თავისი დამოუკიდებლობა.



რუმინეთის დასავლეთში ათიათასობით მეშახტემ დაიწყო საპროტესტო კამპანია ქვანახშირმომპოვებელი დარგის რესტრუქტურიზაციის მთავრობისეული გეგმის წინააღმდეგ, ვინაიდან, მას სამუშაო ადგილების შემცირება მოჰყვება.

## ერთმა სისტემამ ხომ აგვაშენა...

გაზეთი „ჯერმანი ლაივი“ აანალიზებს სიტუაციას, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში შეიქმნა კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ. როგორც გაზეთი აღნიშნავს, ამჟამად ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნები ერთობ არასახარბიელო სურათს წარმოადგენენ. გაზეთი იუწყება, რომ სტატისტიკის მონაცემების მიხედვით, პრაქტიკულად ყოველ აღმოსავლეთ-ევროპულ ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების დაწყების შემდეგ კატასტროფულად გაიზარდა უმუშევრობა, დამნაშავეობა, ნარკომანია და სხვა ნეგატიური მოვლენები, რომლებიც ცივილიზებულ საზოგადოებას არ ახასიათებს. გაზეთის აზრით, ასეთი სიტუაცია და აღმოსავლეთ ევროპის სავალალო გამოცდილება ეჭვქვეშ აყენებენ თვით დემოკრატიული საზოგადოებისა და მეურნეობის გაძღოლის კაპიტალისტური სისტემის უპირატესობის იდეას.

## მწერლობა სარფიანი საქმეც არის და უმადურიც

შეერთებული შტატების ექსპრეზიდენტის რონალდ რეიგანის ოჯახის ირგვლივ ამტყდარ სკანდალს უძღვნის სტატიას ამერიკის გაზეთი „ჩიკაგო ტრიბუნი“. სკანდალის საგანი გახდა რეიგანის ქალიშვილის პეტი დევისის წიგნი „ხანგრძლივი გამოთხოვება“, რომელსაც საფუძვლად დაედო ექსპრეზიდენტის ავადმყოფობის ისტორია. შეგახსენებთ, რომ უკვე დიდი ხანია, რონალდ რეიგანს ალცჰაიმერის დაავადება სჭირს. როგორც გაზეთი აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ პეტი დევისი წიგნზე უკვე ორი წელიწადია მუშაობს, იგი დღემდე ვერ დაუმთავრებია. მიზეზი კი ის არის, რომ მიუხედავად ქალიშვილის სურვილისა, რაც შეიძლება მეტხანს იყოს ავადმყოფ მამასთან, რეიგანმა არ ისურვა თავისი უნიათო შვილის ყურება და ამჯობინებს მასთან ურთიერთობა იქონიოს მხოლოდ და მხოლოდ ტელეფონით, ისიც — მხოლოდ კვირაში ერთხელ. გულმოსულმა პეტი დევისმა ჟურნალ „პიპლისადმი“ ინტერვიუში განაცხადა: „როგორც იქნა, მივხვდი — მამასთან გამოთხოვება გაცილებით მეტხანს გამიგრძელდა, ვიდრე მეგონაო“, წერს „ჩიკაგო ტრიბუნი“.

## სავალალო სტატისტიკა

დაახლოებით 18 მილიონი კაცი დაიღუპა 1945 წლიდან 1997 წლის შუახანებამდე პერიოდში მიმდინარე სხვადასხვა ომების შედეგად, იუწყება ბრიტანული გაზეთი „ტაიმსი“, რომელიც იმოწმებს სტრატეგიული კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტის მონაცემებს. ომების გაჩაღების მხრივ ყველაზე მეტად „გამოიჩინეს თავი“ აღმოსავლეთმა, ცენტრალურმა და სამხრეთმა აზიამ, აგრეთვე, ცენტრალური და სამხრეთი აფრიკის ქვეყნებმა. ამ რეგიონში საომარი მოქმედების დროს დალუპულთა რიცხვი თხუთმეტ მილიონს უახლოვდება. გაზეთი აღნიშნავს, რომ დალუპულთა ზუსტი რაოდენობის დადგენისას მხედველობაში იქნენ მიღებული, აგრეთვე, მასობრივი სიკვდილით დასჯის მსხვერპლნი. მაგალითად, მარტო ჩინეთში 1950-1951 წლების მანძილზე სიკვდილით დაისაჯა მილიონზე მეტი კაცი. ყველაზე „მშვიდობისმოყვარე“ რეგიონი გამოდგა ევროპა. აქ დალუპულთა რიცხვი ორასიათასს არ აღემატება.



ბანგლადეში, მსოფლიოს ერთ-ერთი უღატაკესი ქვეყანა, ექსპორტზე გზავნის თავის საფეიქრო პროდუქციას.

როიტერის ფოტო.

## ახლო აღმოსავლეთი - იარაღის შესყიდვის ზრდის სტიმულატორი

დაქვეითების ათწლეულის შემდეგ, მსოფლიო იარაღით ვაჭრობას ახალი ბუმი დაუდგა, იუწყება ასოშიეიტედ პრესი, რომელიც იმოწმებს ლონდონის სტრატეგიული კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტის ყოველწლიურ მოხსენებას. 1995 წელთან შედარებით მისი მოცულობა 21 პროცენტით გაიზარდა და შეადგინა თითქმის 40 მილიარდი დოლარი. იარაღით ვაჭრობის ზრდა მიმდინარეობს, ძირითადად, ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის სახელმწიფოების ხარჯზე. მსოფლიოში შეიარაღების უდიდესი იმპორტიორი გახდა საუდის არაბეთი. გასულ წელს მან ამ მიზნით გაიღო 9 მილიარდი დოლარი და დიდად გაუსწრო მეორე ადგილზე მყოფ ეგვიპტეს, რომელმაც იარაღის შესყიდვისათვის 2,3 მილიარდი დოლარი დახარჯა. უდიდეს მყიდველთა ათეულში შედიან, აგრეთვე, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, სამხრეთი კორეა, თურქეთი, ქუვეითი და ისრაელი. ექსპერტთა აზრით, იარაღით ვაჭრობის მოცულობის ზრდის მთავარი ფაქტორია ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შექმნილი გაურკვეველი სიტუაცია.

უცხოეთის სააგენტოების, გაზეთების და სააგენტო „მედიანას“ მასალების მიხედვით

უძღვება

**არჩილ მანჯგალაძე.**

**„ლომისმა“ მადლიანი საქმე გააკეთა ეთერ სახვაძის პოეტური კრებულის გამოცემით (რედაქტორი ბორენა ჯაჭვლიანი, მხატვარი კარლო ფაჩულია). წიგნს „ბოლო სადგური“ ჰქვია...**

ლახვარივით მომხვდა გულზე ეს სათაური... აღარც ჩინებული პოეტი და ჟურნალისტი ეთერ სახვაძეა ჩვენს გვერდით და აღარც ამ კრებულის წინასიტყვაობის ავტორი, ისიც, საჩინო მწერალი და ჟურნალისტი – თამაზ ბიბილური, რომლის სიჭაბუკეს და შემოქმედებით სიმწიფეს თვალნათლივ შევესწარით მეც და ეთერიც – „ახალგაზრდა კომუნისტშივე“, მერეც... ეს სათაურიც მან დაანათლა, ალბათ, სიცოცხლეში სრულ კრებულს დანატრებულ პოეტის წიგნს.

...რა სიფაქიზითა და კრძალვით წერს უდროოდ წასულ მეგობარ პოეტზე თამაზ ბიბილური, იგი იგონებს 60-იან წლებს, როცა „ცისკარში“ დაიბეჭდა ეთერის პირველი ლექსები:

...„ამ ლექსების გამოქვეყნებამდე კი ბევრი იყოყმანა, წლები გაუშვა ხელიდან, არავის არაფერი გაუმხილა და თვით უახლოესმა მეგობრებმაც კი არ ვიცოდით, რომ უბის წიგნაკი სავსე ჰქონდა იმგვარი ლექსებით, ომისშემდგომ თაობას ასე რიგად რომ სჭირდებოდა.

ასე გრძელდებოდა, ვიდრე ერთ დღეს „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციაში ჯანსუღ ჩარკვიანი არ შემოვიდა და ხმამაღლა არ დაიძახა:

– იცით, თქვენ ნაღდი პოეტი გყავთ!.. – და თამაზი გამოთქვამს გულისტკივილს, რომ კიდევ ერთი პოეტი გავუშვით ამ ქვეყნიდან ისე, კეთილი სიტყვა სახალხოდ ვერ ვუთხარით, ვერ მივაგეთ ის, რასაც მისი პოეზია ნამდვილად იმსახურებსო.

...სამართლიანია ეს საყვედური, მაგრამ რაღა დროს. წიგნის გამოსვლა ჯერ ჩვენმა ძველმა კოლეგამ უშანგი ჭიჭინაძემ მახარა, მერე ეთერის ნათლულმა ნინო დეკანოიძემ მომართვა ზაფხულში, სწორედ იმერეთში წასვლის წინ.

ეთერისთვის იმერეთი დედულიც იყო და მამულიც, სვირი, უბისი – რობაქიძეები და სახვაძეები – ჭირში თუ ლხინში იქ იყო მისი სულით თუ არსებით. ერთადაც რამდენჯერ ვყოფილვართ თუ იმერეთში, თუ ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, საინგილოში – ჰე, მერე როდის, – თამარის ხიდით აგვივლია ქურმუხის ხეობა... ვარძიასა, ყინწვისსა თუ ბეთანიაში მოჯადოებულები შევცქეროდით შეიდმნათობიერ თამარს...

ბეთანია მისი მეორე სახლი იყო, იქაური ინტერნატის დირექტორი გახლდათ მისი უერთგულესი და უკეთილშობილესი მეუღლე – ბატონი აკაკი წერეთელი! დიახ, ოღონდაც რაჭველ წერეთელთაგანი. ბევრჯერ გავსუმრებივართ ამ დიდებული გვარსახელის გამო – გაიღიმებდა, არ იწყენდა, ეთერის მეგობრებს თავის მეგობრებადაც მიიჩნევდა, იშვიათი ცოლ-ქმრობა ჰქონდათ, პურმარილიანი ოჯახი იყო – ბევრჯერ გაშლილა საჩვენოდ თეთრი სუფრა აქაც – და ბეთანიაშიც, მერე კი, ტყე-ტყე, ბილიკბილიკ „დავწალიკდებოდით“, ვერეს ხეობისკენ დავეშვებოდით – მივეახლებოდით ტაძარს.

ერთი ადგილი მაინც მართლა საცალფეხო (საწალიკო) იყო, ახლაც თუ გავივლი იმ ბეწვის ხიდზე?!

ნეტავ ვიყავით ახალგაზრდობით!..

...გულში ჩავიკარი ეს წიგნი და თან ვიგულე იმერეთში – ვითომც ისევ ერთად ვიყავით და ისევ თავისი წყნარი ხმით მიკითხავდა საყვარელ ლექსებს. იშვიათი მოქართულე იყო, სანაქებო სწავლულების აღზრდილი – აკი უწრფელესი გრძნობით წერდა შემდგომ თავის მოძღვართა – ვარლამ თოფურიას თუ აკაკი შანიძის შესახებ. სწორედ მის უზადო ქართულზე ამახვილებს ყურადღებას ბოლოთქმაში პოეტი ბორენა ჯაჭვლიანი:

**...„თუკი მის ლექსებს მივუბრუნდებით და წავიკითხავთ, უმალ დავრწმუნდებით, რა მშვენიერი, სუფთა და ნათელია პოეტის სიტყვა, ფრაზა თუ სტრიქონი. ტაძრის ქვებივით უბიწო ქართულით მეტყველებდა და წერდა ქალბატონი ეთერი და ყოველი ლექსი სწორედ ამგვარი შესაშური ქართულითაა შემკული“.**

„პოეტის წასვლა და... დაბრუნება“ ჰქვია ამ წერილს.

დაგვიბრუნდა ეთერქალი თავისი პოეზიით!.. შეიდკარიანია მისი კრებული, რომელიც იხსნება ციკლით „პირველი წიგნებიდან“, მას მოსდევს ციკლები „საქართველოსთვის“, „ზამთრისეული“, წიგნიდან – „ცის სიახლოვე“, „მხოლოდ შემოდგომა“, წიგნიდან – „ეს დღე“ და ...„ჩემი იმერეთი“.

...„ჩემო ელია!“ „ვნახე ირემი“, „დედაო მიწავ!“ „ყველაზე მაღლა“, „საინგილოს გზებზე“, „მესხეთში“, „ჰოი, ბათალბეგ!“, „ჩემი ზეკარი“, – როცა ამ პირვანდელ ლექსებს ვკითხულობ, თითქოს კვლავ ერთად ვართ. ზოგსაც ვეძებ და ვერ ვპოულობ, ძალიან ნაცნობს, ერთად ყოფნისას, გზადაგზა დაწერილს და ჩუმად გამხელილს, – იქნებ იმიტომ, რომ ძლიერ ვღელავ...

ახალი ლექსებიც „დავაჭაშნიკოთ“.

...„დღეს უჩვეულოდ ელავს მნათობი,
მთვარეობაა და დიადობა,
აყვავებული ხეთილის ფოთლებიც
მთვარეებივით მოქათქათობენ.
ნეტამც ეს ღამე ხარმე
ჩამრევდეს,
როგორც მთის ბოლოს თეთრი
საბადო,
რომ შევრჩე მარად, ვით ჩემს
საბუდოს,
ვით მწერი – ქარვას, და მიგ
ჩავმენდე!
მთვარეობაა!..“

მეც რომ მემთვარია ვარ, ალბათ პირველად ეს „ჭამაკი“ მისთვის „ავწიე“. იქვეა ბაბუის – ნარიმან რობაქიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსი – მქერის მნათი ყვავილები მოგქონდა ჩემთვისო, – ესაუბრება მის აჩრდილს.

სევდას ღიმილი ცვლის:

„ალუბლის ბაღი შემეგება
მიხხით და მიხხით,
ისე ელავდნენ მშვენიერნი,
ისე ალობდნენ.
გაკაწრულ თითში
შემერია ალუბლის სისხლი,
დაუდობილი კუთილ ალუბლებს“.

ღიმილიანი ქალი იყო, თავადაც კეთილი და შნოიანი, მოოქროსფერო ნაწნავით, ამიტომ არ მიკვირს ეს ფრაზა:

„ულამაზესი ვარ სურათივით,
რა უნდა ჩემთან ეჭვების ჭიდილს,
უუბრწყინვალეს სულს მაძლევ
რიცა“...

...ვინ დახატავდა პოეტს თავის კალამზე უკეთ – დიახ, ავტოპორტრეტად უნდა მივიღოთ ეს ლექსი „მე მზე ვარ მაშინ“...

...ამ წერილში ბევრი მრავალწერტილია... როგორ ავუარო მათ გვერდი, როცა სტრიქონსა და სტრიქონს შუა – „წამწამსა და წამწამს შუაო“, – გამახსენდა „ეთერიანი“, – ჩამარხულია თუ ჩაწნულია საუკეთესო მოგონებები და მსურს დაგანახოთ რაობა მისი, მისი კეთილსულიერება და კეთილმოქალაქეობა.

ერთ ლექსს ასე ამთავრებს ეთერი:

# ლვინობისთვის სათქმელი!..

„აქ, ამ ჰაერში,
ხმალივით ჰკიდია
და მკაცრად ელვა-
რებს
ერთი მოგონება“...

სურამულას სანახებისადმია მიძღვნილი იგი.

...ასე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ჩვენს თავზეც ბევრი სატკივარი, რაზეც იგი იტყოდა თავის ფრთიან და მართალ სიტყვას!

ხოლო როგორი მხატვარია იგი, ამის დასტურად „ჭიდილიც“ კმარა:

„მზე ამნაირი ვიხილე პირველად,
კრძალვით აღსავსე მხვლელობა
მნათის,
პირი ზღვისკენ აქვს,
ლამაზი პირი,
სივრცისკენ – ზურგი
და ისე ჩადის.
ჩადის და ლურჯი ზღვიდან
ვუცქერით
წამოწითლდება მზის თვალი;
მთლად დაზრდილი და
ცეცხლისფერი
ის შეეხება მზეს და არილებს...
და ერთმანეთში მსწრაფლ აირე-
ვა
მათი სისხლები და
ნაპერწკლები,
მერე სინათლე თანდათან
ილევა,
სხივები კვდება
და ილეწება,
და როცა ბოლო შუქს განაბნევენ,
ორივეს ძლიერ გაუჭირდება,
და ვით ვუცქერის და
მოცემის ამბავი,
ისე მთავრდება მათი ჭიდილი“...

ეს არის, ალბათ, იმპრესიონიზმი პოეზიაში!

ფშავ-ხევსურეთში, ხევში, არათუ უვლია ფეხდაფეხ და ცხენდაცხენ, ახალგაზრდობის კარგი წლები იქ გაუტარებია, იქაური გოგო-ბიჭები გამოუზრდია, ლაზათიანი ქართული უსწავლებია, არ შეშინებია ქალაქელი ქალი თბილისთან განშორებას. მერე, უკვე სტუმრობისას თუ ოცნებაში, ადამიანებივით მიფერებია კლდეებს, რომელთაც ის ადარებს უცხო მოყმეებს და ხიბლავს მათი ვაჟკაცური გამონათება. გულისნადებსაც ამხელს.

„რომ ყვავისმშმლე იცოს
წადილი,
ერთ-ერთ გოლიათს უცხო
სასთვანს
მე ვაჩუქები თითქმის
ვაჟიშვილს,
დავსახლდებოდი კოშის
მახლობლად“.

...ჯერ უდედობა იყო მისი დარდი, ადრე დაობლებულს დეიდებმა, – რობაქიძის ტბილმა ქალებმა გაუწიეს დედობა:. მერე კი... უშვილობა – ტკივილი, რომელიც თან წაყვა. დედას კი ასე მისტირის, თავის თავს საყვედურობს და აღანაშაულებს (ქარაგმულად, მაგრამ ეს ქარაგმა სატკივარს უფრო ამძაფრებს):

„შენ რა დედა გინდოდა, ჩემო
თავო,
დედა უნდა კაი ბალღს-მაცაცუნას.
შენ რა დედა გინდოდა,
თან ახე ხაწყალი,
თან ქერივი –
ცრემლებით თვალებმოციალე,
ამაყზე ამაყი რობაქიძის
ქალი,
შენ რომ შეშთიელე და ინაცვლე.
როგორ მეიფერე მისი
თავშეწირვა?
ის, ახლაც შენია –
ასგზის დანაცრული.
რა დედა გინდოდა?
უბრალოდ მიწიდან
უნდა ამოზრდილიყავ, როგორც
ხავსი“.

აი, პოეტ ეთერ სახვაძის ავტობიოგრაფიაც... ამ წიგნში მისთვის ახლობელი და ძვირფასი ადამიანებისადმი მიძღვნილი ლექსებიცაა, ზოგი არც ვიცოდი:

„დღეს შენი ნაღვლიანი
წლისთავია,
ვერავინ ვერ მოვალ შენამდე,
მაგრამ დავნთებ გახახანთლად,
სანთელიც მევათბე.
უნებლიეთ ჩამოქნისას
მათს ხელი მეუაჭერი,
სისხლი სანთელს მეგლისა,
ნელ-ნელა გავაჯერე,
ახე ავუნთე შენს სხთვნას
სანთელთან ერთად,
ჩემი სისხლი,
ახე გაგუფიცე სწორად,
ახე გადმოვაბიჯე სიკვდილს“.

ჰო, ასე აბიჯებს, ასე ჯობნის ხოლმე ჭეშმარიტი შემოქმედი სიკვდილს სააქაოშიც და საიქიოშიც! ამ ლექსით იგი იშვიათ ადამიანს და უფაქიზეს მწერალს გიორგი გელაშვილს შეხმიანებია, ადამიანს, რომლის კეთილგაელენის ქვეშ ვილვაწეთ ერთად წლების მანძილზე და ყოველი მისი მცნობის ხსოვნაში მართლაც რომ ნათელი კვალი დატოვა...

„ბოლო სადგური“... ასეთი სევდიანი სათაური აქვს ჩემი მეგობრის წიგნს, რომელზეც იქნებ ბოლომდე ვერც ვთქვი, მაგრამ რაიც ვთქვი, სულით და გულით!

...ეს იყო, ალბათ, ლვინობისთვის სათქმელი... და მაინც, ეთერ სახვაძის სიტყვებით დავამთავრებ მას:

„დე, მშვენიერნი ყოვლნი ცხოვნდნენ“...

ამინ იყოს!

...ჩემო ეთერ, დღეს სვეტიცხოვლობაა, ნათელმირონობის მადლით, ალბათ, შენ სახელზეც დაინთება ერთი სანთელი...

ხოლო ჩემგან კი ეს მოსაგონარი მიითვალე სანთელ-საკმევლად!...

ლვინობისთვის 14;
მცხეთობა-სვეტიცხოვლობა.



**...„ვაჰ დრონი, დრონი!“.. სურათზე: (მარჯვნიდან) თიურა ვაშაძე, ეთერ სახვაძე, ნანა ლვინეფაძე და ჯულიეტა მინდიაშვილი — მაშინ ჩვენი „შეგირდი“, ახლა ღირსების ორდენოსანი ჟურნალისტი.**

ნანა ლვინეფ

ანაბე
გუ
ფიცლ

# ...არშია

...ერთხელ ნიკა აგიაშვილს ვკითხე,
– ბატონო ნიკა, რიონი რას ერჩოდა-მეთქი აგიაშვილებს?!

– სერგომ გითხრა რამე? – ჩამეკითხა ღიმილით.

– არა, აი ამ ლექსმა მეთქი და პეტრე უმიკაშვილის ოთხტომეულის პირველი ტომიდან ამოწერილი ლექსი გავუწოდე, „რიონმა თქვა“ ასე ჰქვია ამ ლექსს, რომელიც 1870 წელს ჩაუწერია სოფელ ქვიტირში და გორს ილ. დათეშიძეს.

– რაო, რა უთქვამს რიონს, – დაინტერესდა ბატონი ნიკა და საგულდაგულოდ ჩაიკითხა ეს ლექსი, რომელსაც ახლა აქ გადმოვიწერ:



„რიონმა თქვა: „დასაწყისს ვარ ყინულად გამომდინარე,
ერთ ინჟილერს დავემტერე, ისიც გავხადე მტირალე,
მისი გაყრილი ისრები პირჩალმა შევატრიალე,
მისი ცოლვით ქვა გავტეხე, ქალაქი შევაწრიალე.
ყვირილავ, დაავაფხანიკდეთ, აგიაშვილს ვემტერები,
ადგილ-მამულს ჩამოვართმევ, ერისთვებს დავემველები,
ბაშს ეკლესიას დავაქცევ, თვარ გამიჯავრდა ბერები,
იქიდან გაჯავრებული ჭყუშელებს დავემგერები,
ასთე გაგიხდი ორპირსა, ყულევს ჩაქონდეს ძელები,
სირიაჩქუმს სილას დავდებ, კაცს წავუხდინო ფერები,
ფოთის ციხეს ვერას ვავნებ, პირში არ მოგეფერები“.

– დიდ გულზე ყოფილა რიონი...

– ჰო, მათხოვე ეს ლექსი და მოგიტან უკან – მითხრა მან.

მეორე დღეს მართლაც დამიბრუნა ის ფურცელი, მინაწერით:

„რაც მახსოვს“:

... გადმოცემით ვიცი, რომ ცუცხვათში მცხოვრებ აგიაშვილებს სადაო მიწები ჰქონდათ მდინარე ყვირილის ჭალებში სოფელ სიმონეთის მკვიდრ კლდიაშვილებთან. ხალხურ ლექსშიც მოხსენებული ეს ამბავი (რასაკვირველია,

ერთი უცნაური გატაცება დამჩემდა: კოლორიტულ გვარ-სახელთა „კოლექციონერობას“ მოვკიდე ხელი – სადაც თვალს მოვკრავ, ჩავიხსომებ, ანდა ჩავიწერ. ზოგი სად ჩარჩება, ზოგი სად. სხვადასხვა რამის ძებნისას შემხვდება ხოლმე უბის წიგნაკში ან ფურცელზე საინტერესო „შინაარსის“ ეს გვარები და გამეღიმება უნებლიედ. მერე ჩემი ძმა გამომიტყდა, გვარებს „ვაგროვებ“ და ძალიან ჩამითრიაო ამ საქმემ – ამას ჰქვია სწორედ გატაცება! მეც შევამატე მის სალაროს ჩემი „ნადავლი“, ზოგი რამ დამრჩენია, აი, ისინიც:

მეფისწვერიძე! იქვე მიმიწერია სახელები მამაკაცისა: ტირინო, ოთხეანი (გვარიც ყოფილა)!

მაჭანაკალაძე! (ხომ აშკარაა ამ გვარის პატრონის თავდაპირველი ხელობა)!

პარასკევაშვილი, ღედალამაზიშვილი (რა პოეტურია, არა?) კიბორძალიძე, ...ლბერაშვილი, ცხვირაშვილი, კურკუმელა, ხეროდინაშვილი, ლეკპოტაშვილი (!) ...

ნა

...ები
...ის
...დან



...არა ქრონიკები

# ...ე მინაწერი...

...ით!) ამ გარემოებას უნდა ასა-
...ს. შემდეგ სოფელ ცუცხვათიდან
...იდან) ვაკე იმერეთში, სოფელ
...ში დასახლდნენ, სადაც ჩამო-
...ინარე რიონი, რომელიც წყა-
...ის დროს მართლაც ემტერე-
... აგიაშვილების მამულებს. ბაბუ-
... აგიაშვილი ტყაჩირელი იყო
...დან გაყიდა ვანის რაიონის სოფელ
...ში და ჩაესიძა ლორთქიფანი-
... რიონი ახლა მარცხენა ნაპირით
...ა მის მამულს იქაურ ჭალებში
... უკვე უფრო მეტად შეეძლო
... ის სიტყვები ყვირილასათვის".
... წლის ენკენისთვე ყოფილა. ჩა-
... და ზეპირ მიამბო ცუცხვათისა





...ლომინაოს ამბები. ცუცხვათი ჩრ-
...თიდან ესაზღვრება სოფელ ნი-
..., მათ შორის უნაგირა მთაა, მა-
...ყვრობას და ნათესაობას ის ვერ
...ბოლა. განსაკუთრებით მიუხარო-
...ურმე აგიაშვილებს (მის წინაპრებს)
...ვილებში ძველ ხალხურ დღესა-
...ზე – ეკენობაზე – სექტემბრის მი-
...ში – დიდი სტუმრიანობა იცო-
...ენობას სიმონეთმა, – გამიგო-
... ბებიასგან და ბაბუასგან.
...ონი ნიკა საჩინოში დაბადებუ-
... იყო და იქაური ამბები უფრო
...ოდა.
...რთ-ერთი ლორთქიფანიძესთვის მე-
...ე რომ ყოფილა რუხის ბრძოლა-
...ლომონ მეფეს ვაჟკაცობისათვის თა-
...ა უბოძებია. ბიძაშვილებმა თურმე
...წერეს: ასეთი კაი კაცი რაცაა ჩვენს
..., ჩვენც გვეზიარეთო თავადობა.
... უკან არ დაუხევია – ებოძოს
...ობა... უადგილ-მამულოდო – წა-
...ია არშიაზე...

ამის მერე რაიმე დავა თუ ატყ-
დებოდა, ერთმანეთს წამოაძახებდნენ
– შენ რა ხარ, არშიაზე მინაწერი
თავადი ხარო...

ერისთავებიც ასე იყვნენ, ზოგი თა-
ვადი, ზოგი აზნაურიშვილი.

... მერე ბატონმა ნიკამ თვითონაც
იმ ფურცლის არშიაზე მიაწერა: ერი-
სთავები ცხოვრობდნენო სალომინა-
ოში, ზეინდარსა და ამაღლებაში.

ერისთავების ამბავი ლექსს მო-
აყოლა – ერისთვებს დავეშველები
აგიაშვილების მამულითო – რიონი
რომ იჩემებს, ლორთქიფანიძეებისა
– სიყრმისდროინდელ გახსენებას.

რაც შეეხება კლდიაშვილებს, სერგო-
სთან მაინც მიდიო,
– მითხრა. მეც არ და-
ვახანე, მიყვარდა ბა-
ტონ სერგოსთან ყო-
ფნა. ბევრიც ჩამიწე-
რია მისი ნაუბარი.

– გახსოვს სერგო
ბიძია? – ახლაც შე-
მეკითხება ხოლმე
ბატონი გიორგი ნა-
ტროშვილი, მისი დი-
დი მეგობარი... მა-
ხსოვს და მეტი არა?!

ჰოდა, რომ მივე-
დი, ისე, სასხვათა-
მორისოდ ვკითხე
აჯამეთის მამულე-
ბის თაობაზე. ჩაეცინა და... ნიკასთან
„გამაგზავნა", – ჩემზე უკეთესად ეცო-
დინებაო. მერე ეს ლექსიც წავაკითხე
და ცხადია, მინაწერიც „გავუმხილე".

– იცოცხლე, აჯამეთში მამულები
გვქონია, მეც მსმენია, სადაო რომ
გამხდარა იქაური ყანები, მაგრამ მო-
ყვრობამ აჯობა. ...ახლა? ახლა აღარც
კლდიაშვილებისაა აჯამეთი და
აღარც აგიაშვილების, – თქვა მწუ-
ხრალმა და ჩაიცინა, ახალდროება-
ში ხომ კოლმეურნეობამ ჩა-
მოგვართვა ყველას ადგილ-მამული...

... ასე ახდა რიონის ლექსად და
არაკად თქმული მუქარა...

**ნანა ღვინეფაძე.**
1997 წლის ღვინობისთვის 5.

**სერგო კლდიაშვილი და ნიკა აგიაშვილი.**

**ავტორის მეგობრული შარჟები.**

...ელიშვილი, მოსემლევლიშვილი,
...შვილი, საძაგლიშვილი, თუშაბრა-
..., თათარგიორგიშვილი, ციხი-
...შვილი, ვერძაული, ოსიყმაშვილი,
...გდიშვილი (ეს ჩემს ძმას – და-
...არნახებია), კბილცეცხლაშვილი,
...ილაშვილი, სკამკოჩაშვილი, ყუ-
...შვილი, ოქროკვერცხიშვილი, ექ

## ...ი ყუღაბა

...შვილი, პაგარქალიშვილი, პატა-
...შვილიც ყოფილა თურმე – ეს ჩა-
... დიდი ხნისაა, მათ შორის ისეთიც
..., ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ჩვენმა
...ილაკმა კოლეგამ – ოთარ ხუცი-
... თავის ფელეტონებში რომ „უკ-
..." – ერბოწონაშვილია მისი გმი-
... მართლა ამ გვარის კაცი რომ მი-
..., ოქროწონაშვილად გადანათლა
... ფელეტონებში!

გავაგრძელოთ? – გოგრისყელაშვილი,
მინგაზრდილოვა, გულდედავა, დოხტუ-
რიშვილი (ამ გვარს საინტერესო ის-
ტორია ჰქონია, მაგრამ ეს ცალკე წე-
რილის თემაა უკვე); შავდათუაშვილი
(ზოგიერთისთვის სადაურობაც მიმიწე-
რია). თითილოკაშვილი, სუქიაშვილი,
მამესწარაშვილი, პოდბერიოზნიკი
(რუსეთშიც ბევრია „სახასი-
ათო" გვარი), ნაკუდაშვილი...

სახელებიდან ჩამიწერია
სეო, მესურხან, ციხელო, ძი-
ლო, ბეთხემი, არშალუისი,
ივლიტორა, იოხაბედი, ელი-
საბედის კნინობითი ფორმე-
ბი: ბედისა, საბედო – ყველა უცნობი,
ანდა უცხო როდი იყო აქედან, მაგრამ
რა კარგია, რომ ისევ არსებობს რო-
გორც კვიროსი, ბარძიმ, ჯარისმან, გუ-
ლქანი, ქალინკა, სანათა!...

**P.S. თუ ნავაწყდი სხვა ჩა-
ნაწერებს და ეს მოგეწონათ,
კვლავაც განვაგრძობ „გვარ-
თაქებას"!**

პოეზია უპირველეს ყოვლისა

# წიგნიდან „მარჩბივი"

**...ჩემი ზოდიაქო მარჩბივია. მომავალ წიგნში საკუთარ ლექსებთან ერთად შევა თარგმანებიც – ამიტომ ვარქმევ „მარჩბივს".**

**ნ. ღ.**

## ქება
### ნინო ხატიაშვილს

ნინო, ნი-ნო!
ეს სახელი
ქართველისთვის
სანთელია!
შენისთანა
ქალწულისთვის
საქები და საფერია;
ნი-ნო, ნინო, –
ეს სახელი
ხატია და სანთელია!
ალბათ ნინოს,
წმინდა ნინოს,
სახე ჰქონდა შენი!..
იყო კაბადოკიელთა
მკურნალი და მ[illegible]ნი,
ალბათ ნინოს,
წმინდა ნინოს,
სახე ჰქონდა შენი!..
მარიამის მოციქულად
მოევლინა ივერთ, –
მალე მისი ქადაგება
ესმა ამერ-იმერთ, –
ქრისტეს სჯულის
მქადაგებლად
მოევლინა ივერთ...
და მას მერე ეს სახელი
ქართველთათვის სანთელია, –
შენისთანა ქალწულისთვის
ნანატრი და საფერია.
ნინო,
ნი-ნო!
ეს სახელი
ხატია და სანთელია!

## წამებული

მინაწერი ნახატზე
„წმინდა ინესა საპყრობილეში"
(ჰუზეპე დე რიბერა, 1641 წ.)

...„მწუხარე არს სული ჩემი,
ვიდრე სიკუდილდე"...
იესოს ლოცვა გეთსიმანიაში
(მარკოზი)

წმინდა ინესა, –
წამებული ვით
შუშანიკი და
ქეთევანი
ქრისტეს სჯულისთვის, –
ლედიშობილა
რომ გაჰყავდათ
ხალხის წინაშე, –
უგრძესი თმებით
იფარავდა
უმანკო სხეულს...
და ანგელოზმაც
ააფარა
ასულს
არდაგი...

* * *

ძნელია, როცა
ფეხდაფეხ დაგდევს
ლანდი მშურის და
თვალი მზაკვრული;
ძნელია, როცა უეცრად იგრძნობ,
რომ დღეს მთავრდება
შენი ზაფხული!...

1997 წ. მარიამობისთვის 31.

## ...იქნებ!..

როდესაც შენთან ვიწყებ
საუბარს,
გამახსენდება რატომღაც
ტატო...
მეც მჭირს მასსავით
სულით ობლობა,
შენ კი არა ხარ
ჩემსავით მარტო...
როდესაც გავცრი ჩემს
მოგონებებს,
რაც ცუდი იყო, რჩება
ვით ქატო;
მაგრამ მერდინში
გაცრილი გრძნობა
უფრო ჩამძახის, რომ მე
ვარ მარტო...
...
როდესაც შენთან ვიწყებ
საუბარს,
გამახსენდება ბედკრული
ტატო...
და ნუღარ ეძებ ტკივილის
მიზეზს, –
ნურც იმას, სად წვიმს
ხშირად და რატომ...
....
იქნებ ეს ბოლო შემოდგომაა!

ენკენისთვის 4. 1997 წ.

## ალვა

ალვას შვენოდა მწვანე
სამოსი,
ფერისცვალებაც დაშვენდა
ძლიერ,
მაგრამ ამოტყდა
ქარი მტარვალი,
განძარცვა ალვა,
დაასხა რეტი, –
კელაპტარივით ენთო
დღედაღამ,
თავს აწონებდა შრიალით
მთვარეს...
ოცნებით ნაზარდს,
ზეცისკენ მიმსწრაფს,
რა შერჩა ახლა
სიმაღლის მეტი?!

29 მარიამობისთვე 1997 წ.

## ელადური მოტივები

ასული დაფნე

...
ო, დაფნეზე არაკები
გამიგია, –
ბედისწერა დასდევდაო
ფარულ მახით, –
სათნოება სუფევდაო
მისი სახით...
მოსწონებია თვით აპოლონს
ფერია დაფნე;
დადევნებია ვით ლომი
კანჯარს...
გარბოდა და გაჰკიოდა
განწირული, –
ვერ გაუძლო დედამ
შვილის ტანჯვას
ხედ აქცია თურმე
უმალ ქალიშვილი...
და ის იყო ეწეოდა
აპოლონი,
რომ ასულის მკლავის
ნაცვლად
ხელში შერჩა
დაფნის ტოტი...
...ოჰოი, დაფნე, ნარნარო დაფნე,
ზღაპრად ქცეულა
შენი კარგობა, –
აპოლონი კი დადაფნული
დაბრუნდა დელფში
და შენს დაკარგვას
აღარც დარდობდა!

ათენი-თბილისი

## აპოლონის ნატაძრალთან

გზადაგზა ვეძებ ხვითოს
და ალმასს, –
ასე მივაგენ მითიურ
პარნასს! –
ალბათ ეს არის
ნატვრაზე მეტი!
აპოლონივით
ლამაზი მთები,
აპოლონივით
ლამაზი სვეტი!..

1977-78 წ.წ.

## ნენია

– შენთან ახალი
რამ იკვანძება, –
ორ კაცზე ფიქრობ, –
გეტყვი ყველაფერს...
ჩამციებია, მაქცია
ბოშა.
...რა უნდა მითხრას,
ან რას მახარებს,
რაც მოადგება ენაზე
როშავს...
მე ვარ თვითონვე
ჩემი ბედის მაცნე-მკითხავი...
სიცოცხლის ფასად
რაც დამიჯდა,
ვით უნდა მითხრას
ორიოდ გროშად...
– ყველაფერს გეტყვი,
გეტყვი ღმერთმანი, –
აღარ დამეხსნა
ლამაზი ბოშა.
– შენ კი არა და,
თვალთმაქცო ქალო,
დელფოს მისანსაც
აღარ ვენდობი...
რად მინდა შენი
იგავ-არაკი, –
თვით ორაკულთა
წყარო შემისვამს
ქებულ პარნასის
ხიბლით გავბრუვდი, –
თუმც კასტილიის მღვიმეებიდან
უკურნებელი სენით
დავბრუნდი...

ათენი-თბილისი

## ისევ „მარჩბივი"

ზმანება

გზად მიმავალს შემეფეთა
კოშკი ჩამორღვეული, –
ნანგრევებში ამოვძებნე
ერთი ძველი რვეული,
აქ ცხოვრობდა თურმე ვინმე
განდეგილი, ეული...
..
იმ რვეულმა სევდიანი
გული გამიმზიანა, –
როს უცნობმა შორეთიდან
ფიქრი გამიზიარა.
უხორცო და უჩინარი
უცბად ჩემს წინ განკაცდა.
..
ვერ ვივიწყებ იმის თვალებს,
მის მოსახხამს სხივიანს, –
მის თითებში აჟღერებულ
ლირას ოქროსსიმიანს...
და ვქმნი ახლა ცრემლნარევი
მის ხატებას ცვილიანს.
..
იმ ზმანებამ სევდიანი
გული გამიმზიანა, –
როს უცნობის მოჩვენებამ
ფიქრი გამიზიარა –
მაგრამ უცბად მოიღრუბლა
...
და ზევსივით გამკაცრდა...
იდგა ჩემს წინ იმ კოშკივით
ნუმი, ჩამორღვეული, –
სადღაც გაქრა, დაიკარგა
მისი ძველი რვეული, –
და ატირდა მოჩვენება,
მწუხარე და ეული.
...
მომეჩვენა, მოუმესავით
თითქო ვეფხვმა დატორა,
ქვის ხაფლავზე სამახსოვროდ
ეს სიტყვები დატოვა, –
და აღდგომის კვირეულიც
ამ ზმანებით გასრულდა:
... ...
...სააქაოში თუ საიქიოს
ლხინი და ჭირი ერთად იფქვება, –
წამოხვალ აქ და მიწაზე ახლოს
შენთან არავინ აღარ იქნება...

## კოშმარი

არ ვიცი, თუ როგორ მოხდა,
რამ მიქცია მხარი.
დამესიზმრა, ვითომ ვიყავ
დასაკლავი ხარი...

არ ვიცი თუ ვის უნდოდა
გული ჩემი წამლად...
ანდა ჩემი ჯიღა რქები
სალვინედ და ყანწად.

მაგრამ ერთი ვიცი მხოლოდ, –
არ ვიცოდე ნეტავ – დანით თავზე
ვინც დამადგა,
ვინაც გამიმეტა...
დავინახე, დავიხსომე
ჩამეხატა თვალში...
და ღვინია ხარი ვცურავ
ჩემსავ სისხლის ტბაში...
ვერ ავხსენი ვინ გამთვალა,
რამ მიქცია მხარი...
რამ მასიზმრა, რომ ვიყავი
დასაკლავი ხარი...

## ალავერდი!

(შე – გულის პოეტთან...)

კარგ ლექსს
ვერსად ვერ დამალავ,
ფუტკარი ხომ
მიუვალშიც აგნებს
ყვავილს,
ნექტარს ყველგან
ეტანება!
კარგი ლექსი –
წამალია,
ღვინოსავით – ნეტარება!

87 წ. 29 იანვარი.

## მიიწურა ღვინობისთვეც!..

წუთისოფელი წუთია, – თუმც
ღვინო მაინც
ძველდება;
ზოგი რამ
ცხადში მოხდება,
ზოგიც სიზმარში
გრძელდება!..
...
წუთისოფელი...
წუთია!..

96 წლის გიორგობისთვის 4.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 259. კვირა. 19 ოქტომბერი. 1997 წელი.



# პენ-კლუბი — ანუ პოეზია, ესე, ნოველა

ამ დღეებში საქართველოს მწერალთა კავშირის სხდომათა დარბაზში გაიმართა მწერალთა საერთაშორისო ორგანიზაციის პენ-კლუბის ქართული პენ-ცენტრის საერთო კრება. გაიმართა წესდების ვადით გათვალისწინებული არჩევნები, რომელსაც წინ უსწრებდა აზრთა გაზიარება პენ-ცენტრის მომავალი საქმიანობის შესახებ, რის შესახებაც ისაუბრეს ბატონებმა: ჭაბუა ამირეჯიბმა, არჩილ სულაკაურმა, რომან მიმინოშვილმა, თამაზ წივწივაძემ, ზურაბ კიკნაძემ, კობა იმედაშვილმა, ლერი ალიმონაკმა, გიგი სულაკაურმა, ბაადურ ბალარჯიშვილმა, ჯემალ აჯიაშვილმა.

პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელებულმა დავით მაღრაძემ თეზისებად ჩამოაყალიბა ქართული პენ-ცენტრის სამოქმედო გეგმა, აღნიშნა რა ის ობიექტური სიძნელეები, რომელთა გამო ორგანიზაციას უჭირდა სრულფასოვნად მუშაობა.

დამსწრე საზოგადოებამ ერთხმად აირჩია დავით მაღრაძე ქართული პენ-ცენტრის პრეზიდენტად. ვიცე-პრეზიდენტებად დაასახელეს და აირჩიეს ნუგზარ შატაიძე, ზაალ სამადაშვილი და გიგი სულაკაური.

ქართული პენ-ცენტრის საპატიო პრეზიდენტმა, ბ-ნმა ჭაბუა ამირეჯიბმა გზა დაულოცა და თანადგომა აღუთქვა ახლადარჩეულ ხელმძღვანელობას.

**დათო მაღრაძე:** დაიბადა 1962 წელს ქ. თბილისში. სწავლობდა თბილისის 53-ე სკოლაში. 1984 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა ჟურნალებში „ნიანგი", „მნათობი" და „ცისკარი". პრესაში იბეჭდება 1977 წლიდან. პირველი ლექსები დაიბეჭდა „საქართველოს ბუნებაში". პირველი წიგნი — „მარულა" კი გამოვიდა 1985 წელს. მერე მას მოჰყვა „შანდლის ასული" და ორი წლის წინათ ლექსების ახალი კრებული. ავტორია მონოგრაფიისა და კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის (საძაგლიშვილი) შესახებ, რომელიც ნაწილ-ნაწილ „ცისკარსა" და „მნათობში" გამოქვეყნდა 1987-88 წლებში. 1992 წელს ჟურნალ „ცისკრის" მთავარი რედაქტორია, იმავე წლიდან კულტურის მინისტრი 1995 წლამდე. ამჟამად იგი ჩვენი რესპოდენტია, როგორც ქართული პენ-ცენტრის პრეზიდენტი.

**— ცნობილია, რომ ქართული პენ-ცენტრის თავმჯდომარე იყო პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი და ეს ცენტრი 1991 წელს დაარსდა. რამდენი წევრი გაერთიანდა მაშინ მასში?**

— საერთაშორისო პენ-კლუბის კონგრესმა ვენაში 1991 წელს დაამტკიცა ქართული პენ-ცენტრის საორგანიზაციო კომიტეტი ნოემბრის თვეში. იმავე წელს შედგა ქართული პენ-ცენტრის პირველი საერთო კრება, რომელზედაც დამტკიცდა ქართული პენ-ცენტრის წესდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო პენ-კლუბის ეროვნულ განშტოებებს ეწოდება პენ-ცენტრი. თვით პენ-კლუბი კი ამ ეროვნულ ცენტრთა ერთობლიობაა და მისი ხელმძღვანელობა იმყოფება ლონდონში.

დღეს ქართულ პენ-კლუბში 29 წევრია, — სამწუხაროდ, მას რამდენიმე თვალსაჩინო მოღვაწე გამოაკლდა. ესენი არიან ბატონები ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, გივი მაღულარია, სოსო პაიჭაძე, გურამ ფანჯიკიძე, მამუკა სალუქვაძე — მათ ხსოვნას საერთო კრებამ წუთიერი დუმილით მიაგო პატივი.

**— ქართული პენ-ცენტრის წესდებისა და ამოცანების არსი?**

— ეროვნული პენ-ცენტრი არის დემოკრატიული სახელმწიფოს ძალზე მნიშვნელოვანი და მძლავრი ატრიბუტი. ამავე დროს ის გახლავთ მწერალთა საავტორო და მოქალაქეობრივი უფლების დაცვის თავდები! როგორც წესდების პრეამბულაშია ნათქვამი, ლიტერატურა თავისთავად ეროვნული მოვლენაა, მაგრამ იგი ნაციონალური საზღვრებით არ იფარგლება და უნდა დარჩეს ხალხთა შორის ურთიერთობის საშუალებად.

პენ-ცენტრი მოვალეა დაიცვას ინფორმაციის თავისუფლების პრინციპები ცალკეულ ქვეყანაში და ქვეყნებს შორის. მოვალეა ასევე იმოქმედოს სიტყვის თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვის წინააღმდეგ. პენ-ცენტრმა უნდა დაიცვას ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება და წინ აღუდგეს მშვიდობის ჟამს ცენზურის თვითნებურ გამოყენებას.

პენ-ცენტრს მიაჩნია, რომ კაცობრიობის ლტოლვა სახელმწიფო წყობილების პოლიტიკურად და ეკონომიკურად უფრო სრულყოფილი ფორმის მისაღწევად საჭიროებს ხელისუფლების მმართველობითი ორგანოების და პოლიტიკური ინსტიტუტების თავისუფალ კრიტიკას, ვინაიდან თავისუფლებაში იგულისხმება ნებაყოფლობითი თავშეკავება. წევრები უნდა გამოდიოდნენ თავისუფალი ბეჭდვითი სიტყვის ნეგატიური ასპექტების წინააღმდეგაც, როგორიც არის სიცრუის გავრცელება, წინასწარგანზრახული ფალსიფიცირება, ფაქტების დამახინჯება ჯგუფური ან პირადი მიზნით. ასევე პენ-ცენტრი გვევლინება ეროვნული ლიტერატურების ინტეგრაციული პროცესების ხელშემწყობ დემოკრატიულ ინსტიტუტად. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს არის არაპოლიტიკური ორგანიზაცია.

**— რა შემოქმედებითი ურთიერთობებია შესაძლებელი საერთაშორისო პენ-კლუბსა და კერძოდ ჩვენს პენ-ცენტრს შორის დღესდღეობით?**

— რაკი ეს ორგანიზაცია მოწოდებულია იყოს გარანტი თავისუფალი მასმედიის არსებობისა, იგი იხელმძღვანელებს იმ ქარტიის მიხედვით, რომელიც მიღებულია საერთაშორისო პენ-კლუბის მიერ. ჩვენ შეძლებისდაგვარად ვეცდებით ამომწურავი ინფორმაცია მოვიპოვოთ პენ-კლუბის საერთაშორისო კონგრესებზე წამოჭრილი საკითხების შესახებ, უკეთეს შემთხვევაში დავესწროთ ამ კონგრესებს, მონაწილეობა მივიღოთ ხოლმე, რათა უკეთესად გავამუქოთ და საზოგადოებას ვაცნობოთ იმ ტენდენციების შესახებ, რაც იქ გამოიკვეთება.

**— მატერიალურად თუ აძლევს რაიმეს მწერლობას ამ ცენტრის წევრობა?**

— რაც შეეხება წევრობას, მათზე სახსრები არ არის გათვალისწინებული, მაგრამ მთავარ როლს ეს არც თამაშობს. ისე კი, ცენტრი ეც-
დება საკუთარი სალარო შექმნას
ქველმოქმედ პირთა შეოხებით, სა-
ამისოდ ანგარიშიც გვაქვს.

**— რას შეეხება თქვენი პირველი შეხმიანება ლონდონის ცენტრთან?**

— ეს გახლავთ მიმართვა, რო-
გორც ლონდონში არსებული სა-
რთაშორისო კლუბისადმი, ასევე
ყველა ნაციონალური პენ-ცენტრი-
სადმი, ანუ კოლეგებისადმი, და რო-
მელიც 15 ოქტომბერს გაიგზავნა.
მისი შინაარსი ასეთია:

გაცნობებთ რომ კავკასიაში მი-
მდინარე დრამატული მოვლენების
შედეგად დაირღვა საქართველოს
ტერიტორიული მთლიანობა. ქვე-
მეხების ხმა აღარ ისმის, მაგრამ
მიტაცებულ მიწებზე, სადაც საქა-
რთველოს სახელმწიფოს იურის-
დიქცია არ ვრცელდება, გრძელ-
დება ომი ქართული მწერლობის,
ქართული კულტურის წინააღმდეგ,
იცვლება ტოპონიმიკა, იშლება ქა-
რთული წარწერები, მიზანი ცხა-
დია — ქართული კულტურის კვა-
ლის გაქრობა.

თუ ქართველთა გენოციდს აფ-
ხაზეთში წინ უსწრებდა XII საუ-
კუნეში მოღვაწე გენიალური ქა-
რთველი პოეტის შოთა რუსთა-
ველის ძეგლის განადგურება,
ცხინვალის რეგიონში, სულ ახა-
ლხანს, შეიარაღებული კონფლი-
ქტის შეწყვეტიდან რამდენიმე
წლის შემდეგ, აფეთქდა გამოჩე-
ნილი ქართველი მწერლის, შექ-
სპირის ბრწყინვალე მთარგმნე-
ლის ივანე მაჩაბლის სახლ-მუ-
ზეუმი.

მიგვაჩნია, რომ ქართული მწე-
რლობის შეურაცხმყოფელი ვ-
ვანდალური აქტები ზოგადად
მწერლობას შეურაცხყოფს და
იგი უყურადღებოდ არ უნდა და-
ტოვოს მწერალთა დიდმა საერ-
თაშორისო ოჯახმა, პენ-კლუბმა

...იმედი ვიქონიოთ, რომ ქარ-
მწერალთა ძალისხმევა არ და-
ჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბ-
ნოსა შინა!"

**ნანა ლვინეფაძ**

**სიტუაცია**

# ტრაგედიათა ჯაჭვი, დადგენილი იარაღი და სამი წერტილი

## კვლავ პროკურორ მიხეილ ქურდაძის მკვლელობის შესახებ

**ამჯერად საქართველოს გენერალური პროკურატურის მუშაკები მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენლებმა ააფორიაქეს. 17 ოქტომბერს გაზეთმა „მეოთხემ" პირველ გვერდზე გამოიტანა ანშლაგი: „თბილისს პროკურორი მოუკლეს და თალხები არ გამოუფენიათ". ეს გახლავთ ათასი სამდურავით სავსე ინტერვიუ მიხეილ ქურდაძის მეუღლესთან, ქალბატონ ლეილა ქაჯაიასთან. ანშლაგიც, სათაურიც და რამდენიმე ქვესათაურიც ისეთია, „ქვას გახეთქავს". თავად ნახეთ: „მიმალული სენსაცია", „ქალაქის პროკურორის მკვლელობის გახსნა ვილაცას არ აწყობს", „ზეიკიძის აზრით, მიშა ქურდაძე პროკურატურამ მოკლა" და ა.შ.**

**ერთი სიტყვით, პროკურატურის მუშაკებს აფორიაქების მიზეზი ნამდვილად ჰქონდათ. და „თავის დასაწყნარებლად" ისევ და ისევ მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენლებს უხმეს.**

**პრესკონფერენცია** წარმართა საგამოძიებო აპარატთან არსებული ცალკეული ტერორისტული აქტების, დივერსიებისა და სხვა განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა გამოძიების ჯგუფის უფროსმა მირზა დოლიძემ. აქვე იყვნენ მიხეილ ქურდაძის საქმის გამომძიებლები გია წამალაშვილი და დავით ზირაქიშვილი.

პრესკონფერენციაზე თავიდანვე ხაზი გაუსვეს ერთ დეტალს: — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი მიხეილ ქურდაძე ყველას კოლეგა, ყველას მასწავლებელი, ყველას მეგობარი იყო. მისი საქმის გამოძიებაც, სპეციალურად ისეთ პირებს დაევალა, რომლებიც ახლოს იყვნენ მასთან, მის ოჯახთან. ამიტომ, იმის მტკიცება, თითქოს პროკურატურა არაფერს აკეთებს, ან მკვლელის ვინაობას მალავს, — აბსურდია! იმთავითვე შედგა საგამოძიებო-ოპერატიული გეგმა, შემუშავდა 8 თუ 9 ვერსია. საქმის გახსნის იმედი პროკურატურას არამც და არამც არ დაუკარგავს... ამიტომ ეს იმედი არც მიხეილ ქურდაძის ახლობლებმა უნდა დაკარგონ. დღევანდელი შედეგებით კი ასეთი სურათი იხატება:

1994 წლის 10 სექტემბერს გლდანის რაიონში, კერძოდ, მუხიანის დასახლებაში, ახალგაზრდებმა იჩხუბეს. ამ ჩხუბის გამო დააკავეს ვინმე გიორგი ბუტიკაშვილი. მას აღმოაჩნდა „მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი, ჩხრეკისას ბინაში ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარაც უპოვეს. იგი პასუხისგებაში მისცეს, დააპატიმრეს, მაგრამ... 1995 წლის 18 ივნისს ამნისტიით გაუშვეს.

ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარა მაშინ, როგორც იტყვიან, ბზესავით ეყარა. ამაზე იმდენად არავინ მოსდავებია. მაგრამ, ვისი იყო პისტოლეტი? ბუტიკაშვილის თქმით, ეს იარაღი მან 1993 წლის 5 აგვისტოს იპოვა წყნეთის გზაზე, ავტოავარიის ადგილზე. შემოწმდა მისი „ალიბი". ამ დღეს ავტოავარია იქ მართლაც მოხდა. მძღოლი ამჟამად ამერიკაშია, ვერ დაიკითხა. მგზავრები ამტკიცებენ, მძღოლს იარაღი არ ჰქონიაო... თუნდაც ჰქონოდა, ეს იარაღი მას არ ერიცხებოდა. მოდით, კიდევ ვიკითხოთ, — მაშ, ვისი იყო პისტოლეტი?

გამოძიებამ უპასუხა ამ კითხვას. ექსპერტიზით დადგინდა, რომ იარაღი ეკუთვნოდა არჩილ შანიძეს — სოხუმის გვარდიის ოფიცერს. არჩილ შანიძეც და მისი მეგობარი ზურაბ ნათიძეც 1993 წლის 4 მარტს მოკლეს თბილისში, საბურთალოზე, ვაჟა-ფშაველას 34-ში. მისი პისტოლეტიც მაშინ გაიტაცეს. ცოტა მოგვიანებით გაიტაცეს დახოცილთა ავტომანქანაც. ავტომანქანის გამტაცებელი იპოვეს, ციხეში გაისტუმრეს. აი, მკვლელსა და იარაღის გამტაცებელს კი ვერ მიაგნეს.

1993 წლის 10 მარტს, საღამოს 22 საათსა და 20 წუთზე, ისევ თბილისში, მერაბ კოსტავას 72-ში მოკლეს ქალაქის პროკურორი მიხეილ ქურდაძე. მკვლელობის ადგილიდან ამოიღეს ტყვიის ექვსი გულა და 7 მასრა. ექსპერტიზამ აქაც დაადგინა, რომ მიხეილ ქურდაძე განგმირეს არჩილ შანიძის იარაღით.

1994 წლის 30 იანვარს თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, გამომცემლობა „სამშობლოს" საბეჭდი საამქროს მოპირდაპირე მხარეს იპოვეს უცნობი მამაკაცის გვამი. მალე დადგინდა მისი ვინაობა, — სერგო რურუა. მკვლელიც გაირკვა, — აკაკი დვალიშვილი. მან თავის ბინაში მოკლა რურუა. გვამი წაიღო სანაპიროზე. მკვლელის ბინაში იპოვეს ტყვიის 2 გულა. ექსპერტიზამ აქაც დაადგინა, რომ სერგო რურუა მოკლულია არჩილ შანიძის იარაღით.

არჩილ შანიძე მკვდარია, მისი იარაღის გამტაცებელი უცნობია. მაგრამ სერგო რურუას მკვლელი აკაკი დვალიშვილი ხომ ცოცხალია? მართალია, მას 9 წელი მიუსაჯეს, მაგრამ ცოცხალია. მისი თქმით, — იარაღი ითხოვა მკვლელობის წინა დღეს. ვისგან? პროკურატურის მუშაკები აქ სამ წერტილს სვამენ. ამბობენ: გვადროვეთ, ვმუშაობთო. რა ვქნათ? არ ვადროვოთ? ამოღებულია იარაღი, რომლითაც მოკლულია 4 კაცი. ყველა ეს საქმე პროკურატურამ გააერთიანა. გაიხსნება ერთი და ალბათ, მას მიჰყვება მეორეც, მესამეც... მანამდე კი, ისევ მოთმინება...

— როდემდე ეს მოთმინება? მალე 5 წელი გავა მიხეილ ქურდაძის მკვლელობიდან. ეს თქვენი მუნდირის ღირსების საქმეცაა. გამოძიებისას ბარიერებს ხომ არ აწყდებით? — იყო პირველი შეკითხვა.

— ბარიერებს არ ვაწყდებით. უბრალოდ ცუდი დრო იდგა, — ომი, ქაოსი, განუკითხაობა, თავნებობა... ბევრი დაიხოცა, ბევრიც საზღვარგარეთ გაიქცა...

— წელან თითქოს იმედი მოგვეცით, ახლა გვიწურავთ?

— რას ბრძანებთ. ჩვენ 17, 19 წლის წინანდელ მკვლელობათა საქმეები გავიხსნია.

— ხმები დადის, რომ იარაღი ეკუთვნოდა ბუთა ქურდოვანიძეს, რომელიც კოლონიაში გარდაიცვალა.

— არა, იარაღი მას არ ეკუთვნოდა, შანიძისა იყო.

— თქვენის აზრით, გიორგი ბუტიკაშვილი მართალს ლაპარაკობს, როცა ამბობს, იარაღი წყნეთის გზაზე ვიპოვეო?

— ეს ჯერ კიდევ გასარკვევია.

— თქვენი ერთ-ერთი ვერსია დავით
ზეიკიძემდეც მიდიოდა. მასა და მი-
ხეილ ქურდაძეს შორის დიდი უთა-
ყოფილება იყო. იმხანად ნაძალადე-
ვის პროკურორის გატაცების და კი-
დევ სხვა საქმეთა გამო... ზეიკიძე
კი ამბობს: პროკურატურამ იცის,
ვინც არის მიხეილ ქურდაძის მკვლე-
ლი და მეც ვიციო...

— კი, მიხეილ ქურდაძე და დავით
ზეიკიძე ნაწყენები იყვნენ ერთმა-
ნეთზე, მაგრამ ბოლო ხანს შერი-
გებულან. ჩვენ მოვიწვიეთ დავით ზე-
იკიძე. მან ჩვენება არ მოგვცა, არა-
ვითარი ფაქტის შემსწრე არ ვარ,
საქმეში კარგად ჩაიხედეთ და თა-
ვად მიხვდებითო. ვიხედებით ამ სა-
ქმეში, მაგრამ ...

ჯერჯერობით იქ მკვლელს ვერ ვპო-
ულობთ.

— მაშინ მიხეილ ქურდაძეს ქა-
რთლოს ღარიბაშვილიც მწვავედ უპი-
რისპირდებოდა...

— მიხეილ ქურდაძის მკვლელო-
ბის შემდეგ მის სამუშაო კაბინეტში
იმ 18 წლის ბიჭის მკვლელობის სა-
ქმეც ვნახეთ, რომლის გამოც მას ქა-
რთლოს ღარიბაშვილი უპირისპირ-
დებოდა, — იგი მკვლელს იცავდა
და ეს მკვლელი სასამართლოს დ-
რბაზიდან გაუშვეს...

— იმ თქვენს 8-9 ვერსიაში შედ-
თუ არა დავით ზეიკიძის ან ქა-
რთლოს ღარიბაშვილის ვერსიებ-

— რა თქმა უნდა, შედის.

— და ეს ვერსიები დღის წესრი-
გიდან ჯერ არ მოხსნილა?

— ყველა ვერსია მოიხსნება მა-
შინ, როცა მიხეილ ქურდაძის მკვ-
ლელი საბოლოოდ დადგინდება.

მაინც როდის დადგინდება? ეს კი-
თხვა ისევ კითხვადვე რჩება...

**ბონდო გულიაშვილ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზნეობა

შალვა მარდი

# XX საუკუნის უბედურება

## ფსევდორელიგიური სექტა და სექსუალური მანიაკები

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 155, 161, 178, 185, 192, 199, 207, 213, 223, 230, 237, 248, 254.

### რამდენიმე შენიშვნა პოპულარულ რუს ექსტრასენსებზე

ანატოლი კაშპიროვსკისაგან განსხვავებით, ეგრეთ წოდებული ხალხური მკურნალი ალან ჩუმაკი ათასნაირ საგნებს „მუხტავს“ თავისი მაცოცხლებელი ენერგიით. მაგალითად, იგი ამტკიცებს, რომ სატელევიზიო სტუდიაში მყოფს, შეუძლია „დამუხტოს“ ტელეეკრანები ნებისმიერ სახლში, და საკმარისია მაყურებელი მიუახლოვდეს თავის ტელევიზორს და შეეხოს, რომ თუ არ განიკურნა, ყოველ შემთხვევაში სიმხნევესა და სულიერ სიმშვიდეს მაინც პოვებს. ჩუმაკს ძალიან უყვარს თავისი ფოტოსურათების, აგრეთვე მინერალური წყლის დამუხტვა. მარშან ასეთი მინერალური წყლის პირველი პარტია თვალისდახამხამებაში გაიყიდა, თანაც, მისი ფასი სამჯერ მეტი იყო, ვიდრე დაუმუხტავისა.

ყველა ეს „სასწაულმოქმედნი“ არა მარტო პყიდიან თავიანთ საქონელს, არამედ ხშირად რუსეთის მომავალს ჭვრეტენ. დეკემბრის არჩევნებში ჟირინოვსკის გამარჯვების შემდეგ, „ნათელმხილველი“ მარია სუგრობოვა წინასწარმეტყველებდა, რომ რუსეთში არ დამყარდება მშვიდობა, სანამ მიწას არ მიაბარებენ ლენინის, აგრეთვე რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის ნიკოლოზ II-ის ნეშტს.

ვინ არის ვლადიმერ ჟირინოვსკი, რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი, — გენიალური პოლიტიკოსი, თუ უბრალოდ ექსტრასენსი, რომელიც ეშმაკურად იყენებს მასობრივი დაზიანების სატანისტური იარაღის ერთ-ერთ ყველაზე საშინელ ნაირსახეობას — ფსიქოტრონულს? მთელ რიგ მეცნიერებსა და პროფესიონალ ჰიპნოზიორებს მიაჩნიათ, რომ ჟირინოვსკი, ისევე როგორც კაშპიროვსკი, — არის ზომბირებული აქტიორ-მარიონეტი, რომელიც დაკისრებულ როლს ასრულებს გაწაფული დრამატურგის დაწერილ და ბრწყინვალე რეჟისორის დადგმულ პიესაში. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ჟირინოვსკიც და კაშპიროვსკიც არიან ხელოვნურად შექმნილი ადამიანები, რომლებსაც აქვთ რაღაც მაგიური ძალა, უმაღლესი კვალიფიკაციის ოსტატები, რომლებსაც შეუძლიათ თავიანთი სურვილისამებრ მოახდინონ ადამიანის ფსიქიკის მანიპულირება; ამასთან, სრულყოფილად აქვთ შესწავლილი ბრბოს ფსიქოლოგია, ბრბოსი, რომელსაც მხოლოდ გაუგებრობის გამო უწოდებენ ხალხს.

ჩუმაკის „დამუხტული“ მინერალური წყალი შეიძლება არავის არ რგებს, მაგრამ კაცმა რომ თქვას, — არცა ვნებს. ამას ვერ ვიტყვით ეგრეთ წოდებულ ხალხურ სამკურნალებებზე, რომლებსაც ნაირ-ნაირი საეჭვო რეპუტაციის ექიმები და ექიმბაშები პყიდიან. ახლახან გამოქვეყნდა ცნობა ერთი ასეთი ცრუმკურნალის შესახებ, რომელმაც ავადმყოფის დედას ურჩია თავისი შვილისათვის დაელევინებინა დარიშხნიანი არაყი. ამ ნაყენს, „სპეციალისტის“ აზრით, ბიჭუნა უნდა განეკურნა ჯადოსაგან, რომელიც დედის მტკიცე რწმენით, ბავშვს მეზობელმა გაუკეთა. შედეგი ტრაგიკული გამოდგა: ექიმთა მთელი ძალისხმევის მიუხედავად, ბიჭს ვერაფერი უშველეს.

ერთი მოსკოველი ფსიქიატრი ახლახან თავის ინტერვიუში წერდა, რომ პაციენტმა უჩვენა დიპლომი, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ მას დაუმთავრებია „მოსკოვის ზებუნებრივი მოვლენების შემსწავლელი სკოლა“. „ახლა, ჩვენ ორივენი ექიმები ვართ, ისიც და მეც“, — მწარე ირონიით დაასრულა ფსიქიატრმა თავისი ნაამბობი.

ძნელი ასახსნელია, რატომ არის, რომ რუსები ასე ეტანებიან „სასწაულმოქმედებს“. პროფესორი სერგი კაპიცა ნაირ-ნაირი ჯადოქრებისა და ექიმბაშების პოპულარობის უმაგალითო ზრდის მიზეზს ხედავს იმ ღრმა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ კრიზისში, რომელმაც რუსეთი მოიცვა. „წინანდელი იდეოლოგიის კრახმა და იმ ფაქტმა, რომ დასავლეთის სულიერმა ღირებულებებმა ჯერ კიდევ ვერ დაიკავეს თავიანთი ადგილი რუსეთის საზოგადოებაში, — წერს კაპიცა ამერიკის ჟურნალ „საიენტიფიქ ამერიკენში“ გამოქვეყნებულ სტატიაში, — ხელი შეუწყვეს იმ ვაკუუმის შექმნას, რომელიც იწყება ათასგვარი ამჩატებული და მცდარი იდეებით“.

არა მარტო ჯანდაცვის ორგანოები, არამედ აგრეთვე რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურებიც შეშფოთებული არიან სულიერი აქიმობის ასპარეზზე ყალთაბანდების მასობრივი გამოჩენით. მაგრამ, რუსული ეკლესია ვერ ამჩნევს შინნაჩვევ კუდიანებსა და ჯადოქრებს, და ბოროტების სათავეს მხოლოდ დასავლელ მისიონერებში ხედავს...

### ესქტრასენსი ვოლფ მესინგი

ერთ-ერთი ყველაზე განთქმული ექსტრასენსი, რომელსაც შეეძლო „წაეკითხა“ სხვათა ფიქრები (ტელეპათია) ან შეექმნა ილუზიები, იყო ვოლფ მესინგი, ვარშაველი ებრაელი, რომელიც ნაცისტებს გამოექცა გერმანიიდან, ფიზიკოს ალბერტ აინშტაინისა და ფსიქოანალიტიკოს ზიგმუნდ ფროიდის მეგობარი. მას შეეძლო ფოტოსურათების მიხედვით ეწინასწარმეტყველა ადამიანთა და სახელმწიფოთა მომავალი. მესინგმა ჯერ კიდევ 1937 წელს იწინასწარმეტყველა ჰიტლერის სიკვდილი და გერმანიაზე სსრ კავშირის გამარჯვება. ამის გამო იძულებული გახდა, გადმოსულიყო სსრ კავშირში, სადაც დაასრულა თავისი დღენი.



ჟირინოვსკი არის ზომბირებული აქტიორ-მარიონეტი, რომელიც დაკისრებულ როლს ასრულებს გაწაფული დრამატურგის დაწერილ და ბრწყინვალე რეჟისორის დადგმულ პიესაში...

ვილაც-ვილაცეებს მესინგი სამიმ პიროვნებად მიაჩნდათ. მისდა საბედნიეროდ, სტალინი არ იზიარებდა ამ აზრს და ამიტომ ტელეპათს შეეძლო ესარგებლა პრივილეგიით — თავისუფლად ემოგზაურა ქვეყანაში და გაემართა კონცერტები, რაც ყველაზე საყურადღებოა, ოფიციალური პროპაგანდის მიუხედავად, რომელიც ამტკიცებდა, რომ ტელეპათია არ არსებობს და ჰიპნოზიორები ყალთაბანდები არიანო.

დღეს, ასტროლოგებით, მკითხავებითა და ნაირ-ნაირი ექსტრასენსებით, კაშპიროვსკისა და ჩუმაკის ტელესეანსებით საყოველთაო გატაცების ხანაში, მესინგის ფიგურა ათწლეულებში კიდევ უფრო რელიეფურად გამოიკვეთა. მან ხომ პირველად გაბედა, ოფიციალური ათეიზმისა და მატერიალიზმის ქვეყანაში ეჩვენებინა ადამიანის ტვინის ზებუნებრივი შესაძლებლობანი, რომლებიც ძირეულად ეწინააღმდეგებოდა „ერთადერთ სწორ მოძღვრებას“.

როდესაც იგი გარდაიცვალა, მიამბო აკადემიკოსმა ბადალიანმა, საბჭოთა მედიკოსები შეუდგნენ მესინგის ტვინის საგულდაგულო შესწავლას, რათა ამ დიდი წინასწარმეტყველის საიდუმლო გამოეცნოთ. მაგრამ იმედი გაუცრუვდათ — განსაკუთრებული ვერაფერი ნახეს. მკვდარი ტვინი სხვა მიცვალებულთა ტვინისაგან არაფრით არ განსხვავდებოდა. ამ საოცარი ფენომენის საიდუმლო დღესაც აუხსნელია.

### ლეონიდ ბუტელი

ამ ცოტა ხნის წინათ ისრაელისა და ამერიკის გაზეთებმა გამოაქვეყნეს სტატიები უკრაინიდან ემიგრირებული ინჟინრის ლეონიდ ბუტელის შესახებ, რომელმაც შეიმუშავა სპეციალური კომპიუტერული პროგრამა, ხოლო შემდეგ ფრიდმანისა და ცურის სააგენტოს მეშვეობით ტელეფონით ახორციელებდა „ფსიქოტრონულ ზემოქმედებას“ და აწარმოებდა კონკურენტების — საგაზეთო მაგნატების, ბირჟის მაკლერების ზომბირებას, შემდეგ კი დებდა ხელსაყრელ საფინანსო გარიგებებს. დეტექტივთა ფირმის შეკვეთით ბუტელმა შექმნა აპარატი, რომელსაც შეუძლია სხვადასხვა ბგერითი და ელექტრული სიხშირის იმპულსების გენერირება, ისინი შეჰქონდათ კომპიუტერის პროგრამაში და კლიენტების შეკვეთების კვალობაზე ერთვებოდნენ მოსაუბრე საქმოსნების — კონკურენტების სატელეფონო ქსელში — აიძულებდნენ მათ შემკვეთთა ინსტრუქციისამებრ აზროვნებას.

ლ. ბუტელმა შეძლო დაერწმუნებინა ისრაელები თავისი გამოგონების წარმატებასა და პერსპექტიულობაში, მერე კი გაემგზავრა შეერთებულ შტატებში, რათა იქ სარფიანად გაეყიდა იგი. მაგრამ, ინტერპოლმა მიაგნო მის კვალს, ბუტელი დააპატიმრეს და ხანგრძლივი დაკითხვების შემდეგ გადასცეს ისრაელის პოლიციას.

საგაზეთო ცნობების მიხედვით, ბუტელის გამოგონება იძლევა „თეორიულ“ (ჯერჯერობით) შესაძლებლობას, ელექტრული მუხტებით გააბრუონ ადამიანი, გამოიწვიონ დეპრესია და დეზორიენტაცია. მაგრამ, მაღალი კლასი — ეს არის უფრო ფაქიზი ინსტრუქციების გადაცემა. მაგალითად, სხვადასხვა აქციების ყიდვა-გაყიდვის, ამა თუ იმ სავაჭრო შეთანხმების დადების გამო... შეიძლება მთააგონო მსხვერპლს, უნდობლობა ადამიანებისადმი, შეამცირო ან აამაღლო მათი შეშფოთების დონე. მოკლედ რომ ვთქვათ, ფსიქოტრონული იარაღის შესაძლებლობანი უჩვეულოდ ფართოა, ხოლო შედეგები შეიძლება უაღრესად მძიმე გამოდგეს საზოგადოებისათვის, მეტადრე, თუ მიზანში არიან ამოღებული მსხვილი მრეწველები ან პოლიტიკური მოღვაწენი.

### მცირე სექტები — „MADE IN RUSSIA“

### „სატანის საძმო“

ლამის მეფის რუსეთში წარმოშობილი და დღემდე მოღწეული „შავი საძმო“ სატანისტთა ყველაზე დახურული და იდუმალი ორგანიზაციაა. ამჟამად მისი რიცხოვნობა შეადგენს 25-დან 80 წლამდე ასაკის 300 კაცს. სოციალური შემადგენლობის დადგენა ვერ მოხერხდა. ცნობილია, რომ საძმოში შედიან როგორც ქალაქის, ისე სოფლის მცხოვრებნი. ორგანიზაციის სტრუქტურის საფუძველია მაგების შეიდქიმიანი ვარსკვლავი. შვიდი ჯგუფი (ანუ სხივი) ატარებს პლანეტების სახელებს (მარსი, ვენერა, სატურნი და ა. შ.) ყოველი ჯგუფი მუშაობს გარკვეული მიმართულებით: ალქიმია, ასტროლოგია, მანტიკა (ყოველგვარი მკითხაობა და წინასწარმეტყველება), თეოგნეზია (სულებთან ურთიერთობა და მათგან ინფორმაციის მიღება), ექიმბაშობა (მკურნალობა), გულთმისნობა. ხოლო, სულ ბოლო ჯგუფს შეადგენენ „მეომრები“ — ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ მეტოქეს მიაყენონ ფიზიკური და ენერგეტიკული დარტყმები. ორგანიზაციას სათავეში უდგას 75 წლის ქალი. საძმოს წევრები მას გრაფის ქალს უწოდებენ და ამტკიცებენ, რომ იგი საფრანგეთის დედოფლის მომწამვლელი ეკატერინე მედიჩის გვარიდან არის... გრაფის ქალზე ბევრი ლეგენდა დადის. მაგალითად, ამბობენ, რომ მას შეუძლია გააცოცხლოს მკვდრები, ხოლო ორ წელიწადში ერთხელ ახალგაზრდავდება, რისთვისაც მისი გულისთვის იტაცებენ, კლავენ და ცეცხლზე წვავენ ქალწულს.

თუ საგაზეთო ცნობებს დავუჯერებთ, ერთმა ჟურნალისტმა შეძლო დასწრებოდა სექტის რიტუალებს. იგი მიიწვიეს უღრან ტყეში, სადაც წინასწარ იყო მომზადებული კარვები და კოცონი. შეიკრიბა ამ სექტის 200 წევრი.

ყველა გრაფის ქალს ელოდებოდა. გამთენიისას დაანთეს მთავარი კოცონი. ცოტა ხნის შემდეგ მოისმა ძრავის ხმა და ტყიდან გამოვიდა შავი „მერსედესი“. მანქანიდან გადმოხტა ორი მძღოლი, მერე კი გადმობრძანდა მაღალი, ხმელ-ხმელი, ოდნავ მხრებში მოხრილი ქალი, რომელსაც ემოსა უამრავი ვერცხლის სამკაულით მორთული შავი კაბა. სწორედ ეს იყო გრაფის ქალი. კეხიანი ცხვირი, შავი თვალები, მკვრივ კვანძად შეკრული ჭაღარა თმა. იგი ცხოვრებისაგან დაღლილ-დაქანცულ დედაბრად გამოიყურებოდა. საძმოს წევრები ყიჟინით მიესალმნენ გრაფის ქალს. იგი მდუმარედ იდგა. შემდეგ ყველა, თითქოს ბრძანებითო, დადუმდა და ცოცხალი წრე შემოარტყა კოცონებს. გრაფის ქალის ნიშანზე ყორჩებმა წრეში შემოიტანეს მოგრძო ბრეზენტში გახვეული სხეული. ტომარაში, რომელზეც ხასხასა ყვითელი საღებავით იყო დახატული პენტაგრამა — ორმაგ წრეში ჩასმული ხუთქიმიანი ვარსკვლავი, აღმოჩნდა ახალგაზრდა ლამაზი, შავთმიანი ქალის გვამი, რომელიც სულ ერთი-ორი დღის გარდაცვლილი იქნებოდა. გრაფის ქალი ბუტბუტით მოჰყვა მელოცვას, ხოლო ყორჩებმა გვამი მოგიზგიზე კოცონის გავარვარებულ ნაკვერცხალზე დადეს. წუთის შემდეგ, ცხედარს რაღაც სითხე დაასხეს, გვამმა იფეთქა და ხშირი თეთრი კვამლი გამოუშვა. გრაფის ქალი ბუტბუტ-ბუტბუტით მივიდა კოცონთან, თავზე დაადგა ალმოდებულ გვამს და კვამლში გაეხვია. ცოტა ხნის შემდეგ ყორჩებმა ხელი შეაშველეს გრაფის ქალს, რომელსაც გული წასვლოდა, და კოცონიდან გამოიყვანეს. როდესაც იგი გონს მოვიდა, ყორჩებიც და ყველა იქ მყოფნიც განცვიფრდნენ: დედაბერს ორმოცდაათ წელიწადზე მეტს ვერ მისცემდი.

ამბობენ, რომ გარდაცვლილი ქალწულისაგან აღებული ენერგია გრაფის ქალს სულ ორ წელიწადს ჰყოფნისო, ამიტომ ორი წლის შემდეგ, კვლავ კლავენ ქალწულს და გაახალგაზრდავების რიტუალი ისევ მეორდებაო.

* * *

თუ რუსეთის გაზეთების სხვა ცნობებს ვირწმუნებთ, არსებობს სექტა, რომლის წევრებსაც „მევირთაგვეებს“ უწოდებენ (თუ რატომ ჰქვიათ ასე, მოგვიანებით აგიხსნით). მასში შედიან მოსკოვისა და პოდოლსკის დედათმავალი ქალები. სექტა ომის დამთავრებისთანავე წარმოიშვა. მაშინ რამდენიმე ათეული ქალი გააერთიანა ქალბატონმა, რომელიც ორმოც წელიწადზე მეტ ხანს ატარებდა სილამაზის დედოფლის ტიტულს. და მთელი ეს წლები მევირთაგვე ქალები თავს ევლებოდნენ თავიანთ დედოფალს. ჯერ ერთი, არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიო მევირთაგვე ქალთა შორის წარმოშობილ სიყვარულს და გამუდმებულ ერთობლივ შეულლებას, მეორე, სექტაში ჩათრეული ყველა ქალი მარტოხელა იყო და მათი ბედი არავის ანაღელებდა. დედოფალმა კი მევირთაგვე ქალები დააჩვია ეზრუნათ ერთმანეთისათვის, ყოველ წუთს მზად ყოფილიყვნენ ერთურთის დასახმარებლად. მესამე, არ არის გამორიცხული, რომ აქ გარკვეულ როლს ასრულებდა შანტაჟი. თუ მევირთაგვე სექტიდან გასვლას დააპირებდა, მის მიდრეკილებებს მაშინვე ამცნობდნენ მეზობლებსა და თანამშრომლებს. ვარაუდობენ, რომ სექტაში შედის 16-დან 36 წლამდე ასაკის 300-მდე ქალი. ძირითადად ესენი არიან მოსამსახურენი და მოსწავლეები. ვეტერანთაგან კი სულ ათნი დარჩნენ.

მევირთაგვეები უარყოფენ უფალს, მაგრამ ეთაყვანებიან სატანას და პირველ ქალს, რომელიც სატანამ ჯერ შექმნა, მერე კი გაანადგურა — ლილიტს. ვინაიდან ლილიტი ცხოველთა მფარველი იყო, სექტის სიმბოლოდ არჩეულია ვირთაგვა — გამძლე და ძლიერი არსება. სექტის მოძღვრების თანახმად, ქალი მოწოდებულია მბრძანებლობდეს მსოფლიოს, და ამიტომ მევირთაგვე დედაკაცი უნდა ესწრაფოდეს ფიზიკურ და ზნეობრივ სრულყოფილებას და ბატონობდეს მამაკაცზე. თუ ხანშიშესული მევირთაგვე ქალები უშვილოდ რჩებოდნენ, ახალგაზრდა თაობა იმის მომხრეა, რომ გააგრძელონ შთამომავლობა ხელოვნური განაყოფიერების გზით. ერთი სიტყვით, მევირთაგვენი თავს თანამედროვე ამორძალებად მიიჩნევენ.

თარგმნა

**არჩილ მანჯგალაძემ.**

(გაგრძელება ყოველი კვირის ნომერში)

საქართველოს რესპუბლიკა
№ 259. კვირა. 19 ოქტომბერი. 1997 წელი.

ლიახვის ხეობა

# სოფლის სამჭედლოში

ბავშვობაში, სკოლაში, ლექსს გვასწავლიდნენ: „ბნელ კუთხეში მიგდებული ნავთის ლამპა წუწუნებდა“– ახლა რომ ვფიქრობ, მიზეზიც ჰქონდა: მტკვარზე, რიონზე, ხრამზე ჰიდროელექტროსადგურებს აშენებდნენ და „იაფი ელექტროენერგია“, „თეთრი ნახშირი“ (ასეთი თქმები მაშინ მოდაში იყო) ჩვენი ყოფიდან დევნიდა ჭრაქსა და ლამპას.

ახლა ისეთი ცხოვრება დაგვიდგა, რომ საქენერგოს ლოცვა-კურთხევით ორივე ერთად დაგვიბრუნდა. მაგრამ ამჯერად სხვა რამ მინდა გიამბოთ:

ამ დღეებში რედაქციის დავალებით დიდი ლიახვის ხეობაში ვიყავი და თამარაშენში მოულოდნელად ზედ წავაწყდი ერთ ისეთ „დაწესებულებას“, რომელიც ადრე, ლამპისა და ჭრაქის არ იყოს, ბნელ კუთხეში იყო მიგდებული, ან სულაც გაუქმებული და მივიწყებული. სოფლის სამჭედლოზე მოგახსენებთ.

...სოფლის გზაზე, თავისი სახლის წინ, წინსაფრიანი ბერიკაცი მზეს ეფიცხებოდა. ამ დღეებში სამაჩაბლოში აცივდა და ვიდრე კავკასიონზე თოვლი არ ჩამოყარა, ამინდი არ გამოვიდა.

– აქ, სადღაც, სამჭედლო უნდა იყოს–მეთქი.

სწორედ სამჭედლოს წინა დგეხარო – მიპასუხა.

ასე გავიცანი ნიკო ელბაქიძე, – სოფლის მჭედელი, მაგრამ განა მარტო ამ სოფლის? მთელს ლიახვის ხეობაში იციან და იცნობენ თამარაშენელ მჭედელსა და მის ნახელავს.

– მამაჩემმა ცამეტი წლის ბიჭი შეგირდად ამიყვანა და მას აქეთ გრდემლსა და საბერველს აღარ მოვშორებივარ. ის იყო, კოლექტივი იკიდებდა ფეხს. ზოგი ნებით შედიოდა კოლექტივში, ზოგიც ძალით შეჰყავდათ. შეძლებული ოჯახი გვქონდა. ჯერ ხარ-კამეჩი წაგვართვეს, მერე – ცხენები და ცხვარძროხა. ერთი ფეხათრეული ფაშატი გვყავდა, მამაჩემს გაღასაგდებად არ ემეტებოდა, ის ცხენიც წაიყვანეს, გამოხდა ხანი და უკან მოგვიყვანეს – ნალი დააკერეთ, კომუნიზმის ასაშენებლად გამოგვადგებაო. მამაჩემი კარგი მჭედელი იყო და ნალბანდობაც არანაკლებ იცოდა. კომუნის ხალხს უთხრა: თქვენ რომ მაგ ჯაგლაგით კომუნიზმს ააშენებთ, მეც მომიგონეთო. ნათელში იყოს მისი სული. ყველაფერი როგორ წინდაწინ იგულისხმა...

ოთხმოც წელს მიტანებული მჭედელი თავისი ცხოვრების ამბებს მიამბობს. ადრე, წინა საუკუნეში ცხინვალში სახლობდნენ: ნიკოს მამა – გიორგი ელბაქიძე, იქ დაეუფლა მჭედლის ხელობას. ოსტატიც ჩინებული ჰყოლია – გოლა აბულაძე, მთელ ამარე-მარეში განთქმული მჭედელი. ხელობა უსწავლია გიორგის და თამარაშენში მამისეულ სახლში გადმოსულა ჯალაბით, სამჭედლო გაუმართავს და საქმესაც შედგომია.

ელბაქიძეების ოჯახში შვიდი შვილი გაიზარდა, ყველა თავის გზას ეწია, ნიკო კი მამასთან დარჩენილა და სამჭედლოც მას რგებია.

უხმოდ, ცნობისმოყვარეობით ვათვალიერებ სოფლის სამჭედლოს.

– აი, ამ უროს რომ ხედავ, სიმძიმით ერთი ფუთია. დრო იყო, ცალი ხელით ვათამაშებდი. ახლა ვეღარც მარჯვენა ხელში მემორჩილება. ჰოდა, შვილი მეხმარება მძიმე სამუშაოების შესრულებაში, – მეუბნება ნიკო მჭედელი და თავის ვაჟიშვილს – შალვას მაცნობს.

სამჭედლოში, როგორც მხატვრებს უყვართ თქმა, მხატვრული უწესრიგობა სუფევს, მაგრამ მხოლოდ უცხო თვალისთვისაა ეს იარაღები და სამარჯვეები დაუდევრად მიყრილ-მოყრილი. სინამდვილეში ირგვლივ მკაცრი წესრიგი და გარგილიანობა იგრძნობა. ამ ქურაში რკინას ადნობენ, საამისოდ საბერველიც აქვთ და ჰაერის დასაბერი ელექტრომოწყობილობაც. გრდემალი საოჯახო რელიკვიაცაა. საუკუნის წინ მასზე გიორგი ელბაქიძე მუშაობდა. ასევე მამისეულია გირაგიც (სწორედ ასე თქვა ნიკო ელბაქიძემ, ჩვენ რასაც „ტისკს“ ვეძახით). სამჭედლო ხომ წარმოუდგენელია უროების, ჩაქუჩების, საბურღის, მარწუხების გარეშე. ყველა ეს იარაღი და ხელსაწყო, აგერ უკვე 65 წელიწადზე მეტია, ერთგულად ემსახურება ოსტატს.

ვიღაცას გამოსაპირად ნამგალი მოეტანა და ვევბა ჩაქუჩთან ერთად საზეინკლო მაგიდაზე იდო.

ცუდად ენიშნა ნიკო ელბაქიძეს ამ ორი იარაღის „მშვიდობიანი თანაარსებობა“ და ნამგალი იქაურობას მოაშორა: „ეშმაკს არ ხძინავსო“, თავისთვის ჩაილაპარაკა მჭედელმა.

გამოწკეპილი და გამოპირული ცულები, თოხები, ბარები, წალდები, ნალები, ნაჯახები პატრონის მოლოდინში თაროებზე ბზინავდა.

– მართალია, რომ ყოველი კაცი საკუთარი ბედის მჭედელიაო?

– სწორედ რომ აგრეა, – თქვა ოსტატმა. – მამაჩემს შვიდი შვილი ჰყავდა. მეც შვიდი შვილიშვილი მყავს. მერვე შვილიშვილი ამ დღეებში შეგვეძინა. ჩვენს გვარში ჯერ კაცობა და სინდის-ნამუსი ფასობს, მერე – დანარჩენი სხვა. შვილები და შვილიშვილები, სიძე, რძლები, ვინც კი სრულწლოვანია, ან შრომობს, ან სწავლობს. 66 წელიწადია რკინას ვაწრთობ. მე რომ მინდა, ისეთ ფორმას ვაძლევ და შვილებს ჩემ ჭკუაზე ვერ გავატარებდი? ამიტომ ვამბობ, ბედნიერი კაცი ვარ-მეთქი. ჩემი ბედნიერება ჩემივე შრომით მაქვს გამოჭედილი და ეს მახარებს.

ის იყო, უნდა მეკითხა, ქართველებისა და ოსების ურთიერთობები როგორ ლაგდება-მეთქი, რომ ქუჩაში სატვირთო მანქანამ დაამუხრუჭა და ნახვრადჩაბნელებულ სამჭედლოში მძღოლმა თავი შემოყო.

– ნიკო ელბაქიძე მუშაობს დღეს? – იკითხა და იქ მყოფნი შეგვათვალიერა.

– მუშაობს. რა ამბავია? – გამოეპასუხა ნიკო ელბაქიძე.

– მუხტარა ფილიევმა ურმის თვალი გამომატანა, მითხრა, ნიკომ შემომისალტოსო.

– ვინ მუხტარა, ურემს რომ მართავს?

– სწორედ ისა, ქორწინელი.

– კარგი, დატოვე. ზეგ გამოიარე.

ალარაფერი მიკითხავს. ან კი რა იყო შესაკითხი – ქართველებისა და ოსების ურთიერთობა იმდაგვარად ლაგდება, როგორც თავად ამ ხალხებს სურთ.

მუხტარ ფილიევის მისამართით უბის წიგნაკში მოვინიშნე, მჭედლის გამოვემშვიდობეთ და თბილისში გამოვწიეთ.

**გურამ ვაშაკიძე,**
„სრ“ საკ. კორესპონდენტი.

გვიპასუხებენ

# ლევან თოფურიძის წერილის – „გეკუთვნის, მაგრამ არ გეკუთვნისო...“-ს გამო

## საქართველოს ბანკირთა ასოციაციის განცხადება

ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთ ქვაკუთხედს პრესის თავისუფლება წარმოადგენს. პრესას, დემოკრატიულ სამყაროში, მეოთხე ხელისუფლებასაც უწოდებენ, შესაბამისად, პრესის ზემოქმედება საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების განვითარებაზე შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს დემოკრატიული ხარისხის მაჩვენებლად. ამასთანავე, პრესას თავისი წილი ვალდებულებები და, აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობაც აკისრია.

„საქართველოს ბანკირთა ასოციაცია“ მიესალმება პრესის მხრივ ქვეყნის საბანკო სფეროში არსებული პრობლემების ობიექტურ გაშუქებას და რაოდენ დასანანია, როდესაც საბანკო სისტემის ირგვლივ არაჯანსაღი ატმოსფეროს შექმნას ზოგჯერ ქართული პრესაც უწყობს ხელს. ეს უპირველესად ისეთი სპეციფიკური საკითხების გაშუქებას ეხება, როგორიც საბანკო-სასამართლო დავებია.

ბოლო დღეებში ქართული პრესის ფურცლებზე გახშირდა პუბლიკაციები სააქციო კომერციულ ბანკ „საქართველოს ბანკსა“ და მის მოდავე მხარეს, ბატონ კამოთე ალიაშვილს შორის გაჭიანურებული სასამართლო პროცესის ირგვლივ.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, „საქართველოს ბანკირთა ასოციაცია“ საბანკო სისტემაში დაგროვილი პრობლემების ობიექტურ და დროულ გადაწყვეტაში პრესის აქტიური მონაწილეობის მომხრეა. პრესის აქტიურმა ჩარევამ დღეს საბანკო სისტემის გაჯანსაღებასა და წარსულში კომერციული ბანკებისადმი მოსახლეობის დაკარგული ნდობის აღდგენა-გაზრდას უნდა შეუწყოს ხელი. აღსანიშნავია, რომ ეს კონკრეტული შემთხვევა სცილდება ერთი რომელიმე ბანკის პრობლემას და მსგავსი პრეცედენტის ცხოვრების ნორმად გადაქცევამ, შესაძლებელია გლობალური საფრთხის წინაშე დააყენოს ჯერ კიდევ ფორმირებადი საქართველოს საბანკო სისტემა. მარცვალში ჩადებული ასეთი ნალმი ნებისმიერი განვითარებული ქვეყნის საბანკო სისტემას დაანგრევდა.

ბანკის ყველაზე დიდი კაპიტალი მისი იმიჯია, რომლის დაკარგვასაც, ყოველი ბანკი აუნაზღაურებელ ფინანსურ და მორალურ ზარალამდე მიჰყავს. მისი კომპენსაცია კი მომავალში ვერანაირი ახალი სასამართლო დადგენილებებითა და მობოდიშებით ვეღარ მოხერხდება.

ქვეყნისა და საბანკო სისტემის ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს ბანკირთა ასოციაცია თავს ვალდებულად თვლის განაცხადოს:

საბანკო დავების სასამართლო განხილვის პროცესის დასრულებამდე, ანუ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, პრესამ შეძლებისდაგვარად თავი უნდა შეიკავოს მსგავსი პუბლიკაციებისაგან. აქვე უნდა განვაცხადოთ, რომ აღნიშნულ კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებაში ბანკირთა ასოციაციას, ისევე როგორც „საქართველოს ბანკს“ რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილებისაგან კარდინალურად განსხვავებული შეფასება გააჩნია და სადლეისოდ საქმეს ზემდგომი ინსტანცია განიხილავს.

ამდენად, რაოდენ კეთილშობილურ მიზნებსაც უნდა ისახავდეს ჟურნალისტთა მხრივ საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების მოხდენის ნებისმიერი სურვილი, თუ იგი კანონიერების ფარგლებს სცილდება, ყოვლად დაუშვებელია.

გვეხმაურებიან

## საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია

# დადგენილება

№ 1 6 ოქტომბერი 1997 წ. ქ. თბილისი

### საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების, საქმისწარმოების წესის და რეგლამენტის დამტკიცების შესახებ

„ელექტროენერგეტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის და მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად კომისიამ დაადგინა დამტკიცდეს:

1. საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულება.

2. საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საქმისწარმოების წესი.

3. საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის რეგლამენტი.

თავმჯდომარე

**ელიზბარ ერისთავი.**

## საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია

# დადგენილება

№ 4 8 ოქტომბერი 1997 წ. ქ. თბილისი

### ელექტროენერგეტიკის სექტორის შიგნით მოქმედი ტარიფების შესახებ

„ელექტროენერგეტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 28 ივლისის № 389 ბრძანებულებით „მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებებისა და ელექტროენერგეტიკაში ფასწარმოქმნის საბაზრო სისტემაზე ეტაპობრივად გადასვლის შესახებ“ ელექტროენერგიის მოსახლეობაზე გასაყიდი ტარიფის ცვლილებასთან დაკავშირებით დადგინდეს ელექტროენერგეტიკის სექტორის შიგნით მოქმედი შემდეგი საბითუმო ტარიფები:

1.1. „საქენერგოს“ მიერ გამანაწილებელ ენერგოკომპანიებზე გაცემული ელექტროენერგიისათვის: საშუალო ძაბვაზე (6 კვ; 10 კვ.) ერთი კილოვატსაათისათვის 3,3 თეთრი, მაღალ ძაბვაზე (35 კვ; 110 კვ.) ერთი კილოვატსაათისათვის 3,1 თეთრი.

1.2. ჰიდროელექტროსადგურების მიერ „საქენერგოსთვის“ მიწოდებული ელექტროენერგიისათვის ერთ კილოვატსაათზე საშუალო შეწონილი ტარიფი – 0,98 თეთრი, მათ შორის:

| | |
|---|---|
| „საქენერგოგენერაცია“ (ენგურჰესი, ვარდნილჰესები) – 0,9; | სიონჰესი – 1,7; |
| ვარციხეჰესი (კასკადი) – 0,9; | ალაზანჰესი – 1,7; |
| ხრამი I – 0,95; | თეთრიხევიჰესი – 1,7; |
| ხრამი II – 0,95; | კურზუჰესი – 2,0; |
| ტყიბულჰესი – 0,95; | ჟინვალჰესი – 1,2; |
| ლაჯანურჰესი – 1,05; | კაბალიჰესი – 2,0; |
| გუმათჰესი (კასკადი) – 1,05; | საცხენისჰესი – 2,0; |
| რიონჰესი – 1,05; | დაშბაშჰესი – 2,0; |
| შაორჰესი – 1,2; | მისაქციელიჰესი – 2,0; |
| ორთაჭალჰესი – 1,3; | ტირიფონჰესი – 2,0; |
| ზაჰესი – 1,3; | ჩხოროწყუჰესი – 2,0. |
| ჩითახევჰესი – 1,3; | დმანისიჰესი – 2,0; |
| აწჰესი – 1,3; | ხერთვისიჰესი – 2,0; |
| ბჟუჟაჰესი – 1,4; | რიცეულაჰესი – 2,0; |
| | მარტყოფჰესი – 2,0; |
| | სჭურიაჰესი – 2,0; |
| | აბჰესი – 2,0. |

1.3. „თბილსრესსა“ და „საქენერგოს“ შორის 1997 წლის 1 იანვრიდან პირდაპირი ხელშეკრულებით განსაზღვრული ორსაფეხურიანი ტარიფი:

– 1 კვტ. გარანტირებული სიმძლავრისათვის – 2,5 ლარი თვეში;
– ელექტროენერგიისათვის – 3,3 თეთრი/კვტსთ.

2. „საქენერგოსა“ და ელექტროსადგურების მიერ პირდაპირი მომხმარებლებისათვის მიწოდებული ელექტროენერგიის რაოდენობა და ტარიფი განისაზღვრება კომისიის გადაწყვეტილებით ორივე მხარის (მიმწოდებელი და მომხმარებელი) მიერ წარდგენილი განაცხადის საფუძველზე.

3. ამ დადგენილებით განსაზღვრული ტარიფები ძალაშია 1998 წლის 1 აპრილამდე. ელექტროენერგეტიკის სექტორში შემავალმა სუბიექტებმა ახალი სატარიფო განაცხადი, დადგენილი წესით, კომისიაში წარადგინონ 1998 წლის 15 თებერვლამდე.

თავმჯდომარე

**ელიზბარ ერისთავი.**

# სპორტი

„საქართველოს რესპუბლიკის“ სპეციალური გვერდი

**გუშინ თბილისის სპორტის სასახლის ხალიჩაზე, სადაც 7 ქვეყნის 134 ფალავანი ასპარეზობს, I, II და III წრის შეხვედრები გაიმართა.**

**საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა პირველი ნაკრები კარგ მომზადებას ამჟღავნებს და ტურნირზე წარმატებით გამოდის.**

**დღეს გაიმართება ასპარეზობის დასკვნითი შეხვედრები და ფინალური ორთაბრძოლები.**

ჭიდაობა



## პროფესორი გამოცდას იბარებს

„ჭიდაობას რა უნდა და ფეხის გამოკვრა უნდაო“, — უთქვამს ქართველ კაცს. ფეხის გამოკვრა მას, მართლაც, ჩინებულად ეხერხებოდა — ორგზის მსოფლიო ჩემპიონ ვახტანგ ბალავაძეზე მოგახსენებთ. მის სარმებს მრავალჯერ გაუოგნებია მეტოქე. ჭიდაობის პროფესორს (ეს სახელი ბატონ ვახტანგს 1953 წელს შეარქვეს ბუქარესტში მსოფლიო ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც მან თავისუფალ ჭიდაობაში პირველი ადგილი დაიკავა). წელში გამართული შერკინება უყვარდა, რადგან ამ დროს ფეხის გამოკვრას ელვისებური გდება მოჰყვება ხოლმე. 1954 წელს იაპონიაში მსოფლიო ჩემპიონატზე ირანელმა მოჰამედ ალი ფარდინმა ნახევარფინალური ორთაბრძოლა რომ წააგო (0:9) ქართველ ფალავანთან, ხუმრობით უთხრა, თურმე: „შენთან ჭიდაობა შეუძლებელია. რომ იჭიდაო, ფეხზე უნდა იდგე, შენ კი ამის საშუალებას არ იძლევიო“.

ტოკიოში ვახტანგ ბალავაძემ ზედიზედ დაამარცხა ცნობილი ათლეტები — თურქი ბექირ ბიუკე, ფარდინი, იაპონელი იუტაკე კანეკო და მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ეს წოდება მაშინ ისეთმა აღიარებულმა ფალავნებმაც დაიმსახურეს, როგორებიც იყვნენ თურქები — ჰუსეინ აკბასი და მუსტაფა დაღისტანლი, იაპონელი სოძიო სასახარა, საუკეთესო ტექნიკისთვის პრიზი კი ვახტანგ ბალავაძეს გადაეცა. მის მეგობრებს არაერთხელ უთქვამთ, ბალავაძემ ჭიდაობის პროფესორობა რუმინეთში მიიღო, ტოკიოში კი დაუმტკიცესო.

— საიდან ამდენი ტექნიკური არსენალი? — კითხვითვე მპასუხობს 71 წლის უბერებელი ფალავანი, — ქართული ჭიდაობიდან. ის ჩვენი ამოუწურავი ოქროს ფონდია. მეხუთე თუ მეექვსე კლასში ვიყავი, მამამ ლანჩხუთიდან სამტრედიაში წამიყვანა. წიგნის მაღაზიასთან რომ გამოვიარეთ, ვიტრინაზე ილია თომაშვილის წიგნი შევნიშნე — „ქართული ჭიდაობა“. მამას ვთხოვე და მიყიდა. შინ დაბრუნებულს ძმა და ბიძაშვილები ხელიდან მტაცებდნენ წიგნს. ჩვენს სახლთან ახლოს ერთი ტრიალი მინდორი იყო. ბიჭებმა ნახერხმოყრილი საჭიდაო მოვაწყვეთ და წიგნის მიხედვით ვამუშავებდით ფანდებს. 1944 წელს ჩემმა მასწავლებელმა დიმიტრი მიქაძემ რაიონის პირველობაზე მაჭიდავა. წლოვანებით ბევრად უფროსი ბიჭები წავაქციე და პირველი ადგილი დავიკავე. 1946 წელს საქართველოს ჩემპიონი გავხდი ქართულ ჭიდაობაში. მომდევნო წელს ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩავირიცხე. აქ გავიცანი ჭიდაობის კათედრის წამყვანი სპეციალისტი, ცნობილი მწვრთნელი მიხეილ თიკანაძე, რომელმაც თავისუფალი ჭიდაობის ანბანს მაზიარა და მთელი სპორტული კარიერის მანძილზე გვერდიდან არ მომცილებია.

დამსახურებულ პედაგოგსა და ღირსეულ შეგირდს თავი არ შეურცხვენიათ. 1952 წელს ვახტანგ ბალავაძემ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებიდან ერთბაშად ორი ოქროს მედალი ჩამოიტანა — ერთი სამბოში და ერთიც — თავისუფალ ჭიდაობაში. მერე იყო ბუქარესტი და ტოკიო. მელბურნის ოლიმპიადაზე ქართველი ფალავანი ბრინჯაოს მედლით დაკმაყოფილდა, მომდევნო წელს კი სტამბოლში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე კვლავ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, ფანაც ისე, რომ ფინალში მომავალი ოლიმპიური ჩემპიონი თურქი ისმაილ ოგანი დაამარცხა. ამგვარ შეჯიბრებაზე სტამბოლში მასპინძელი დაჯაბნაო, ეს გმირობის ტოლფასია.

ბატონი ვახტანგი გულღია კაცია, იუმორით სავსე, ნაცნობ-მეგობრებისთვის თავდადებული. მზად არის, ყველას დაეხმაროს, სხვისი წარმატება ახარებს. ასე იყო უწინაც. ვინ იცის, რამდენი ადამიანია მისი მადლიერი, განსაკუთრებით მოჭიდავეები. შარშან ვახტანგ ბალავაძის სახელობის თბილისის საერთაშორისო ტურნირზე სტუმრად იყო ჩამოსული ცნობილი უკრაინელი ფალავანი, რომის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, მსოფლიო თასის ორგზის მფლობელი, 1961 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი ვლადიმერ სინიავსკი, რომელმაც მიამბო:

— 1958 წელს თეირანში ირანისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების ტრადიციული ამხანაგური შეხვედრა შედგა. ორთაბრძოლები სტადიონზე გაიმართა ღია ცის ქვეშ და შაჰიც ესწრებოდა. ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულსა და მსოფლიო ჩემპიონ იმამალი ჰაბიბის უნდა შევხვედროდი. კერპის გამოჩენისთანავე 40 ათასზე მეტი მაყურებელი დასაკლავი ხარივით აბღავლდა. მე იმ დროს გამოუცდელი მოჭიდავე ვიყავი და, მართალი გითხრათ, ამგვარი სურათის მნახველს მუხლები აშიკანკალდა. ამ დროს ვახტანგ ბალავაძე მომიახლოვდა, მხარზე ხელი დამკრა, ლამის შემევედრა: ვოვა, მიხსენი! ვერ მივუხვდი თხოვნას და გამომცდელი მზერა მივაპყარი. ვახტანგმა განაგრძო: ბიჭებს დავენიძლავე, რომ შენ ამ ორთაბრძოლას მოიგებ. თუ დამარცხდი, ულვაში უნდა მოვიპარსო. ულვაშოდ კი, ხომ იცი, თბილისში არ ჩამესვლება.

უცებ გაპარსული მეგობარი წარმოვიდგინე და გულიანად გადავიხარხარე, შევტრიალდი და სახელდახელოდ მოწყობილ საჭიდაო არენაზე ავირბინე. ვიცოდი, ჰაბიბი „წისქვილზე“ წამოვიდოდა, აუცილებლად არასპორტულ ხერხს გამოიყენებდა. წინასწარ დამუშავებული ილეთით ორჯერ მოვიგერიე მისი შეტევა, ორი წუთიც არ იყო გასული, პარტერში გამოვიჭირე და ბეჭებზე დავაწვინე. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ვახტანგი პირველი მომვარდა, გადამეხვია, შემაქო — ყოჩაღ, ულვაში გადამირჩინეო, მითხრა...

გუშინ ბატონ ვახტანგს თბილისის ტურნირზე შევხვდი. წარსულს რომ იხსენებდა, ისიც ვკითხე, ცხოვრებაში გული ყველაზე მეტად რამ დაგწყვიტათ-მეთქი:

— მელბურნის ოლიმპიადაზე იაპონელ მოჭიდავესთან წაგებამ და ოქროს მედალთან დაშვიდობებამ. მეორედ ახლა — ჩვენი დიდი მეგობრის, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის ივან იარიგინის უეცარი დაღუპვის ამბავი რომ შევიტყვე. კატასტროფამდე ცოტა ხნით ადრე შემპირდა, შენს ტურნირზე აუცილებლად გეწვევიო...

დღეს ჭიდაობის პროფესორი ვახტანგ ბალავაძე, რომლის ღვაწლი შარშან ღირსების ორდენითაც დაფასდა, მისი სახელობის თბილისის საერთაშორისო ტურნირზე საპატიო მსაჯია და ახალგაზრდა ფალავნებისაგან 35-ედ იღებს გამოცდებს.

**ვაჟა დანელია.**

*სურათზე: ვახტანგ ბალავაძე, ივან იარიგინი და მოთა ლომიძე თბილისის სპორტის სასახლეში.*

ფოტო არქივიდან.

მომავალი ჩვენია...

## ქართული ჩოგბურთის იმედი

მაკა ჩახნაშვილმა დიდი სიყვარული და სიმპათიები დაიმსახურა ქართველ ჩოგბურთის მოყვარულთა შორის. ლეილა მესხის საჩოგბურთო აკადემიის კორტებზე ამას წინათ გამართულ საერთაშორისო ტურნირში 14 წლის სპორტსმენმა საუკეთესო ოთხეულში შეძლო მოხვედრა. რომ არა მუხლის ტრავმა, იგი ალბათ ფინალშიც გავიდოდა და, ვფიქრობ, მთავარ პრიზსაც მოიპოვებდა. ბათუმში გამართულ ანალოგიურ საერთაშორისო ტურნირზე მან დამაჯერებლად მოუგო ანა ზაპოროჟანოვას, ვისთანაც წააგო ნახევარფინალი თბილისში. საქართველოს ჩემპიონს ბათუმშიც ძველმა ტრავმებმა შეახსენეს თავი და მეოთხედფინალური ორთაბრძოლა ოლგა ტეპლინსკაიასთან დათმო. ამ მიზეზის მიუხედავად, მაკა ჩახნაშვილი ფარ-ხმალს არ ყრის — ბოლო ორი წლის განმავლობაში მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ასპარეზობს. იგი მრავალი ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორია. მომავალი წინ აქვს, რადგან მაკას 9 დეკემბერს მხოლოდ 15



წელი შეუსრულდება.

თბილისის ტურნირზე ვესწრებოდი მაკა ჩახნაშვილის თამაშს და ამ გოგონაში დავინახე ის მონდომება, სილაღე, სილამაზე და სწრაფვა გამარჯვებისაკენ, რომელიც ესოდენ აუცილებელია დიდ ჩოგბურთში. მაყურებელი მის გამოჩენას კორტებზე მქუხარე ტაშით ხვდებოდა. მაკას უპირველესი გულშემატკივრები კი იყვნენ მამამისი — ბატონი ვანო და მაკას აღმზრდელი, ცნობილი მწვრთნელი გურამ თოხაძე.

მაკა ჩახნაშვილი ახლახან პარიზში გაემგზავრა და 15-წლიანი კონტრაქტით საფრანგეთის საჩოგბურთო კლუბ „როლან გაროსის“ წევრი გახდა. იგი სახელგანთქმულ „როლან გაროსთან“ არსებულ „ადიდასის“ საჩოგბურთო კოლეჯში ისწავლის.

ქართველ გულშემატკივართა სახელით მინდა ვუსურვო ჩვენს ნორჩ ჩოგბურთელს ჯანმრთელობა და წარმატებები. იმედია, საფრანგეთში ყოფნისას გამომჟღავნდება მისი უბადლო ნიჭი და მჯერა, რომ მაკა ჩახნაშვილი არაერთხელ გვასახელებს საერთაშორისო სარბიელზე.

**ვაჟა ჭიაურელი.**

*სურათზე: ვარჯიშობს მაკა ჩახნაშვილი.*

ჩვენი ჯანმრთელობა

## გამოდი, მრთად ვიაროთ...

**გახსოვთ, ალბათ ერთ დროს პოპულარული სიმღერის სიტყვები. ჰოდა, გამოდი, ძმაო, დაო, მეგობარო, ვიაროთ ერთად ჩვენს დედაქალაქში, სადაც პირველად აღინიშნება**

## მსოფლიო სიარულის დღე.

**მარშრუტი შერჩეულია (იხ.სქემა), სტარტის დრო — (11 საათი) მოსახერხებელი, თანაც დედაქალაქის ყველაზე ეკოლოგიურად სუფთა ვაკის რაიონში.**

**მათთვის, ვინც მუხლს გაშლის, ჯანმრთელობის გაკაჟებისაკენ გადადგამს ნაბიჯებს, კუს ტბის ტერიტორიაზე გაიმართება სპორტულ-მასობრივი სანახაობანი.**

**ერთად ვიაროთ ამ დღეს — მსოფლიო სიარულის დღეს, მივიღოთ სიამოვნება და, რაც მთავარია, ვეზიაროთ ჯანმრთელი ცხოვრების წესს.**

**ანზორ ბახილაძე.**



## ღვაწლი

# ამაგი დაუფასეს



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პირველი კორპუსის ვესტიბიულში პროფესორ გიორგი მშვილდაძის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო იუბილარის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოები, წიგნები ავტოგრაფებით. გამოფენის მოწყობა ითავა ეროვნული ბიბლიოთეკის მასობრივმა განყოფილებამ. იქვე მოეწყო იუბილართან შეხვედრაც.

საღამო გახსნა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის პირველმა მოადგილემ ლეილა ზამბახიძემ. მან ისაუბრა პროფესორ გიორგი მშვილდაძის მეცნიერულ მოღვაწეობაზე.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი გია წერეთელი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის პოლიტიკური ეკონომიკის კათედრის პროფესორი რევაზ გველესიანი, ჟურნალ „ეკონომიკის" მთავარი რედაქტორი, გიორგი მშვილდაძის ასპირანტი რევაზ მენგელია, პროფესორები ნუგზარ პაიჭაძე, თენგიზ ნანობაშვილი, მიხეილ ჯიბუტი, თამაზ ჩიკვაიძე, აპოლონ ჟორდანია, გიორგი მშვილდაძის ოჯახის წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ ბატონი გიორგი თითქმის 50 წელიწადია, რაც ეროვნულ ბიბლიოთეკაში მუშაობს. ამაგდარი მეცნიერის კვალს მისი აღზრდილი სტუდენტები აგრძელებენ.

პროფესორმა გიორგი მშვილდაძემ დამსწრე საზოგადოებას მადლობა მოახსენა მისდამი ასეთი თბილი დამოკიდებულებისათვის.

**ენძელა ბერიკაშვილი,**
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიოთეკარი.

## კროსვორდი



თარაზულად: 7. კოლექტიური შუამდგომლობა. 8. მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობი ფრანგულ ფილმში „მონპარნასი-19". 9. ქვეყანა სამხ. დას. აფრიკაში. 12. ამერიკელი კინომსახიობი ქალი. 13. მრგვალი ან ოვალური დიდი ბრტყელი თეფში. 14. ძველებური რუსული სიგრძის საზომი. 16. მცირე არია. 18. აზიის სახელმწიფო. 21. პატარა რესტორანი. 22. სალაროში წარსადგენი ქვითარი, რომელზედაც აღნიშნულია საქონელში გადასახდელი თანხის რაოდენობა. 23. გზა, რომელზეც გადის გემი, თვითმფრინავი ავტობუსი და სხვა. 24. ძირითადი ფერი, ტონი, რომელზედაც სურათი იხატება. 25. ეკლიანი მცენარე. 27. ბრალდებულის უდანაშაულობის დასაბუთება. 31. გრძელი ფართო წამოსასხამი. 34. „გრძელხელება" მაიმუნი. 36. ფრანგი ფეხბურთელი. 37. სიმღერისა და კასტანიეტების აყოლებით წყ- ვ ი ლ ‹ ესპანური ცეკვა. 38. მაჰმადის შთამომავალთა საპატიო წოდებულება მუსლიმანთა ქვეყნებში. 39. წესდება, დებულება რისამე შესახებ. 40. მწვრთნელი სპორტის რაიმე სახეობაში.

შვეულად: 1. პატარა საზღვაო თევზსაჭერი გემი. 2. სასულიერო და საერო პირთა კრება პროტესტანტულ ეკლესიაში. 3. ყაჩაღი (გურიაში) მეფის დროს. 4. რაიმე ფაქტის, ამბის ერთ-ერთი ახსნა ან განმარტება. 5. შეჯიბრების დაწყების მომენტი. 6. ხაკურთხევლის ტახტი ეკლესიაში. 10. პიესა „მედეას" ავტორი, ფრანგი დრამატურგი. 11. თურქული ხალხური ლირიკული ლექსი. 15. ძროხისებრთა ოჯახის წყვილჩლიქიანი ცხოველი. 17. რეჟისორ ტ. პატარაიას ფილმი. 18. დიდი კინო ან ტელეფილმის ნაწილი, რომელსაც დამოუკიდებლად უჩვენებენ. 19. გერმანიის სახელმწიფო იმპერია. 20. რუმინეთის კინემატოგრაფისტების ასოციაციის პრემია. 26. ნახატის გამეორებული ნაწილი ქსოვილში, ნაქარგზე, ხალიჩაზე, შპალერზე და სხვა. 28. ბრაზილიელი ფეხბურთელი. 29. ერთგვარი ბალახი, აქვს ყვითელი პრიალა ყვავილები. 30. პოეტური და ორატორული ხერხი ერთი და იმავე სიტყვის გამეორება რამდენიმე ტაეპის დასაწყისში. 32. მონოპოლიების ფორმა, რომლის დროსაც გაერთიანებული საწარმოები ზემოგების მიზნით კარგავენ წარმოებითსა და კომერციულ დამოუკიდებლობას და ემორჩილებიან ერთიან მმართველობას. 33. შესანახად გახმობილი ხორცი. 34. ფისიანი ქვანახშირის სახეობა, რისგანაც აკეთებენ მძივებს და სხვა სამკაულებს. 35. სპეციალური გემი, რომლითაც სრუტეებზე, ზღვებზე გადაჰყავთ რკინიგზის ვაგონები და ავტომობილები.

შეადგინა
**ციალა ამაშუკელმა.**

### 21 სექტემბერს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 3. ანჯაფარიძე, 8. ბაიდარა. 9. ტავიანი. 11. იოლი. 13. პროექცია. 14. მინისტრი. 15. ბიზე. 17. ირიგაცია. 20. ლებანიძე. 23. ოსტინატო. 25. იმიტაცია. 27. არკა. 28. მიგრანტი. 30. გარანტია. 32. არსი. 34. არიმანი. 35. მოლიერი. 36. ატრაქციონი.

შვეულად: 1. ინსაიდი. 2. მძევალი. 4. აქატი. 5. რიტმი. 6. ტანდემი. 7. ინცესტი. 10. პრეისტორია. 12. ორიენტაცია. 15. ბალბოა. 16. ელიზია. 18. გირი. 19. ციგა. 21. ბუმი. 22. ნევა. 24. ტორშერი. 26. ცენზურა. 29. ტალანტი. 31. აპოლონი. 32. ამირა. 33. იამბი.

## „თბილისობა — 97"

# რას გვპირდება დღესასწაული

### 25 ოქტომბერი

10.00 – სადღესასწაულო ვაჭრობა და კულტურული პროგრამა დედაქალაქის რაიონებში.

11.00 – ასპარეზობა ქართულ ჭიდაობაში (ცაბაძის 1, აკაკის ძეგლის მიმდებარედ, დიდუბის რ-ნი).

12.00 – ქართული სამრეწველო პროდუქციის გამოფენა „ექსპოჯორჯიაში" (წერეთლის 118).

12.00 – სუპერმარკეტ „ევროცენტრის" გახსნა (ჭავჭავაძის გამზირი №54).

12.30 – „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას" საწარმოს დათვალიერება (წერეთლის 114).

13.00 – ინვალიდთა საპროთეზო-ორთოპედიული ქარხნის პრეზენტაცია (პარტნიორი ფირმა „ოტობოკი", გერმანია).

14.00 – „თბილისობისადმი" მიძღვნილი კულტურული პროგრამა ეთნოგრაფიულ მუზეუმში (კუს ტბის ტერიტორია).

15.00 – თბილისის უბნებს შორის ჩემპიონატის ფინალი მინიფეხბურთში (სპორტის სასახლე).

16.00 – ახალგაზრდა მოქანდაკეთა პლენერი და სამხატვრო აკადემიის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენის გახსნა (გრიბოედოვის ქ. 32).

17.00 – სპექტაკლი. „ზაფხულის ღამის სიზმარი" (მ. თუმანიშვილის სახ. კინომსახიობთა თეატრი. აღმაშენებლის გამზირი №164).

17.00 – ამერიკული კომპანიის „ლევონ თრეველის" თბილისის სააგენტოს პრეზენტაცია. (ი. ჭავჭავაძის 20)

18.00 – თბილისის საკონცერტო ორკესტრის პრემიერა (დიდი საკონცერტო დარბაზი).

### 26 ოქტომბერი

10.00 – ახალი ქირურგიული კლინიკის დათვალიერება ქალაქის №1 საავადმყოფოში (წინანდლის ქ. 9).

11.00 – უმწეოთათვის უფასო სასადილოს გახსნა (ჯაფარიძის №63, ისნის რ-ნი).

12.00 – საქართველოს კუთხეების, თბილისის ეროვნულ დიასპორათა წარმოდგენები რიყეზე.

13.00 – სპორტული სანახაობა მდ. მტკვარზე (წყალმოთხილამურეთა და ნიჩბოსანთა ასპარეზობები).

14.00 – თეატრალური კოლექტივების წარმოდგენები აბანოთუბანში.

15.00 – ახალი საცხოვრებელი სახლების დათვალიერება მთაწმინდის რაიონში (ბესიკის ქ. №5. არსენას ქ. №11/16).

16.00 – გამოფენა – „ტაო-კლარჯეთის არქიტექტურული ძეგლები". ვერნერ რუდიგერი გერმანია (სურათების ეროვნული გალერეა, რუსთაველის 11).

17.00 – კონცერტი ახალგაზრდული კოლექტივების მონაწილეობით (აბანოთუბანი).

18.00 – კომპლექს „არაგვის" პრეზენტაცია, „საპატიო თბილისელთა" დაჯილდოება (სანაპიროს 6).

## ხსოვნა

### სოლომონ (სოსო) რობაქიძე



მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, კ. მ. ამირეჯიბის სახელობის საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე **სოლომონ (სოსო) მელქისედექის ძე რობაქიძე.**

ს. რობაქიძე დაიბადა 1927 წელს თერჯოლაში, სადაც მიიღო საშუალო განათლება, ხოლო შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის რკინიგზის საინჟინრო ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1948 წელს და მუშაობა დაიწყო სპეციალობის მიხედვით. 1950 წლიდან მსახურობდა არმიაში, საინჟინრო ჯარებში ჯერ სახალინის ნახევარკუნძულზე, ხოლო შემდეგ ყაზახეთში. არმიიდან დათხოვნის შემდეგ 40 წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის მეცნიერებას ემსახურებოდა. მან დაამუშავა გაზის გამოყენებისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებანი, რომლებიც წარმატებით დაინერგა სოფლის მეურნეობაში, ს. რობაქიძის მეცნიერული თემით დაინტერესდნენ საზღვარგარეთის ქვეყნებში და მისი ნაშრომები უცხო ენებზე ითარგმნა. მისი ღვაწლი აღინიშნა მთავრობის ჯილდოებით, მიენიჭა დამსახურებული ინჟინრის წოდება.

ს. რობაქიძე გამოირჩეოდა იშვიათი შრომისუნარიობით, მაღალი პროფესიონალიზმითა და ზნეობით, იყო უაღრესად გულისხმიერი, ტაქტიანი და თავაზიანი პიროვნება.

წავიდა ჩვენგან სოლომონ რობაქიძე და დაგვიტოვა კეთილშობილი ადამიანის, ჭეშმარიტი მოქალაქის, ერთგული მეგობრისა და კოლეგის ნათელი ხსოვნა.

კ. მ. ამირეჯიბის სახელობის საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი.



50 წლის მანძილზე ჯანმრთელობის დაცვას კეთილსინდისიერად ემსახურებოდა **ლალა აქვსენტის ასული მეგრელიძე.** იგი იყო ცნობილი საბავშვო მწერლის ლიდია მეგრელიძის და სახალხო ლოტბარ აქვსენტი მეგრელიძის შვილი.

35 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ბავშვთა II სტომატოლოგიური პოლიკლინიკის თერაპიულ განყოფილებას. ამ პოლიკლინიკის მთელი კოლექტივი და მისი კოლეგები გულისტკივილით განიცდიან მის გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი

ეთერ დაველიანიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

## ფაქტი

### დასაფლავებისთვის მზრუნველი...

ზუმინ დილიდან მსს წარმომადგენლები დევნილთა მოსალოდნელ აქციასთან დაკავშირებით იყვნენ მობილიზებულნი, რადგან კონფერენციაზე, რომელიც დევნილთა საკოორდინაციო საბჭოს ინიციატივით მოეწყო „სრულიად საქართველოს დევნილთა II ყრილობასთან" დაკავშირებით, დეპუტატმა ბორის კაკუბავამ განაცხადა, რომ დევნილები კრწანისში აპირებდნენ მასობრივი აქციის მოწყობას. აღმოჩნდა, ეს კაკუბავას მორიგი ხუმრობა იყო.

ფრაქცია „აფხაზეთის" თავმჯდომარემ, გერმანე ფაცაციამ და მისმა ერთგულმა ფრაქციელმა ბორის კაკუბავამ დღეს სასტუმროს წინ შეკრებილ დევნილებს კიდევ ერთხელ შეახსენეს დაკარგული მიწა-წყალი და ხელისუფლების დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდეს. „სოროებში შემძვრალმა დევნილებმა თუ თვითონ არ იფიქრეს საკუთარ თავზე, რომ დაიხოცონ, მათთვის დასასაფლავებელი მიწაც კი არ მოიძებნება", – წყალი გადაუწურეს მიტინგის ორგანიზატორებმა ლტოლვილებს.

. (ბეა)

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, ზურამ ზოზიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი
ანზორ ბასილაია.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.

სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.